# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 7 ოქტომბერი 2005 №230 (2553) ფასი 50 თეთრი


# ფედერაციის სამუცხოო გადაწყვეტილება

## ვითხოვდით უცხოელს, მივიღეთ...

## ხარისხი თუ რაოდენობა?



ფრანკო ფერარი

დღეს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაა, თუმც პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, გასარკვევი უკვე გავარკვიეთო და, გუშინ, „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მთავარი ამბები თქვა. კერძოდ: საქართველოს ნაკრებს ახლა უკვე მწვრთნელთა ოთხკაციანი შტაბი უხელმძღვანელებს, რა თქმა უნდა, გაიოზ დარსაძის მეთაურობით. დარსაძეს ფრანგი ჟაკ დე ვიმი, იტალიელი ფრანკო ფერარი და გერმანელი ჰერბერტ ცანკერი დაეხმარებიან. დე ვიმი და ფერარი დარსაძის ძველი მეგობრები არიან, ისინი მასთან ერთად ქართველი მწვრთნელებისთვის ლექციებს კითხულობდნენ, ცანკერზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით.

ახალკაცს გუშინვე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებიც დაუნიშნავს — გოგი ქავთარაძე, რევაზ არველაძე და დიმიტრი რამიშვილი.

დანარჩენი ხვალისთვის იყოს...



გაიოზ დარსაძე და ჟაკ დე ვიმი



**მივესალმები ბოლნისს!**

დღეს საქართველოს და ყაზახეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩია

4

# ყაზაქეთი ჩამოვიდა






**ვინ დაატკბო, ვინ დაამწუხრა**

სათასო 16-ეული დაიკენჭა

4

# ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს!



გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური „ბლეკბერნის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილი მოდელ სალომე ღვინიაშვილზე დაქორწინდა. ახალშექმნილ ოჯახს სარბიელელები დიდ ბედნიერებას ვუსურვებთ.



# გვაპატიეთ

## გაიოზ დარსაძეს ყაზახეთთან არ დავაბეზღებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა






**საქართველოს** ნაკრები ყაზახეთთან ხვალინდელი მატჩისთვის მოსამზადებლად ორშაბათს შეიკრიბა და მწვრთნელმა ფეხბურთელები ბაზაზე გამოკეტა. ღია ვარჯიშები ნაკრებს ხუთშაბათ-პარასკევს ექნებაო, ასე გვითხრეს და ჩვენც ნაკრების ბანაკიდან ახალი ამბების გასაგებად სწორედ ხუთშაბათ-პარასკევს ველოდით. ველოდით და, ვნახეთ კიდეც ჩვენი 20-კაციანი გუნდი „ოლიმპის“ სტადიონზე. მორჩა, სხვა არაფერი, ფეხბურთელები ქომაგმა თინეიჯერობამ ავტოგრაფების თხოვნით აიკლო და ჩვენ მათ ვერ გავეკარეთ, ნაკრების მწვრთნელმა კი ორი სიტყვაც დაიმადლა:

— ნაკრებში შოთა არველაძის ჩამოუსვლელობის თაობაზე რას გვეტყვით?

— არაფერს, ამ საკითხზე კომენტარს ჯერ არ ვაკეთებ.

— როდის გააკეთებთ?

— არ ვიცი.

— დღევანდელ ვარჯიშზე თერთმეტ ფეხბურთელს ცალკე ამზადებდით. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ყაზახეთთან მატჩს სწორედ ის თერთმეტი ფეხბურთელი დაიწყებს?

— არა...

ეს „არა“ იყო და, ბატონმა გაიოზ დარსაძემ გააგრძელა:

— იცით, მორტენ ოლსენმა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ზუსტად იცოდა. ამიტომ არ მსურს ღია ვარჯიშების ჩატარება, ისე კი, თქვენს პროფესიას პატივს ვცემ.

გაიოზ დარსაძემ, გუნდს ავტობუსში ვერ ვალოდინებო და შეგირდებისკენ გასწია. რას ვიზამთ, დანიაში 1:6 წაგება ქართველი ჟურნალისტების ბრალი ყოფილა...

იმ თერთმეტი ფეხბურთელის გვარს, რომლებმაც თითქმის საათნახევარი ცალკე, მოედნის ერთ ნახევარზე ივარჯიშეს, ახლავე ჩამოვთვლიდით, მაგრამ, ემანდ, ყაზახეთის მწვრთნელმა ან ბერძნების თავკაცმა რომ წაიკითხოს, მერე რაღა ვქნათ...

ამიტომაც, ბატონო გაიოზ, თუ გზადაგზა კითხვებზე პასუხი არ გსიამოვნებთ, ამ „მოკირკიტე“ ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და ხალხისთვის სანაკრებო ამბების სათქმელად, გამართეთ ერთი პრესკონფერენცია, მთლად ნუ დამალავთ ეროვნულ გუნდს და ნურც თქვენ დაიმალებით, მით უმეტეს, როცა ყაზახეთთან მატჩიც „დამალული“, უმაყურებლო იქნება.

ალბათ, ასე სჯობს.

გუშინ, როგორც ვთქვით, საქართველოს ნაკრებმა ოცი ფეხბურთელით საათნახევარი ივარჯიშა. მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა, დარსაძის გამოძახებულ შემადგენლობაზე კი აქამდეც ბევრჯერ დაგვიწერია. საინტერესო ის თუ იყო, რომ მწვრთნელს ზუსტად თერთმეტი ფეხბურთელი მთელი ვარჯიშისას ცალკე ჰყავდა გახმობილი და მათ დაცვა-თავდასხმის ვარიანტებს, სხვადასხვა კომბინაციებს ამუშავებინებდა.

ბოლოს კი ფედერაციის პრესსამსახურის ცნობაც: შაბათს, თბილისში, რესპუბლიკის მოედანი 7 საათზე გადაიკეტება, 8 საათიდან კი იქვე დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე საქართველო — ყაზახეთის შესარჩევი მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი დაიწყება. ხოლო იქ შეკრებილთ ეროვნული დროშები დაურიგდებათ.

**კობა ინასარიძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***





ყაზახეთის ნაკრები თბილისშია — აზიელები გუშინ საღამოს ეწვივნენ საქართველოს დედაქალაქს და სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდნენ. სტუმრები, ვიდრე ნომრებში გადანაწილდებოდნენ, ცოტა ხნით ჰოლში შეჩერდნენ, ზოგი სავარძელში მოკალათდა, ზოგმაც მუსაიფში გალია დრო...

ყაზახთა მწვრთნელი სერგეი ტიმოფეევი კი მომღიმარი იერით შეგვხვდა, რაც გაინტერესებთ, მკითხეთ და გიპასუხებთო...


სერგეი ტიმოფეევი


დავით ლორია

# ისწავლე, სწავლის მძებნელო...

— უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?

— მხოლოდ ორი ფეხბურთელი გვაკლია — ავდეევი და კარპოვიჩი. მათ ყვითლები აქვთ და დისკვალიფიცირებულნი არიან.

— ისე ვიცოდით, ყაზახეთის ნაკრებს ჩამოსვლის დღესვე უნდა ევარჯიშა, მაგრამ...

— გადავიფიქრეთ, ჩვენ წამოსვლამდე ალმათიში ვივარჯიშეთ. ერთი წვრთნაც ხვალ გვექნება.

— რას ელით შაბათის მატჩისგან?

— რა გითხრათ, მეტოქე ძლიერი გვყავს. საქართველოს ნაკრებმა თავისი სიძლიერე ალმათიშიც დაგვიმტკიცა. ასე რომ, რთული თამაში გვექნება.

— ისე ჩანს, წინასწარ შეგუებული ხართ ბედს...

— არა, რატომ?! ქართველებს მაგარ ბრძოლას გავუმართავთ და ვნახოთ, მინდორზე რა გამოგვივა. ჩვენი უმთავრესი მიზანი სწორედაც რომ ძლიერ მეტოქეებთან თამაშია, ასე თუ ვისწავლით რამეს. თანამედროვე ფეხბურთს სწორად რომ შევხედოთ და ალვიქვათ, ამიტომაც გადმოვედით აზიიდან ევროპაში სათამაშოდ. ჩათვალეთ, რომ ვსწავლობთ, ნაბიჯ-ნაბიჯ ვეცნობით ევროპულ ფეხბურთს.

*...ეს იყო და, სერგეი ტიმოფეევი ბოდიშის მოხდით გაგვეცალა, თუ გნებავთ, ფეხბურთელებსაც გაესაუბრეთო. რა დიდი მარჩიელობა უნდოდა იმას, თუ ვის ავირჩევდით რესპონდენტად? ყაზახეთის ნაკრების ტომით ქართველი მეკარე დავით ლორიაც სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე...*

— ჯერ ის გვითხარით, ქართული თუ იცით?

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

— სურვილიც არ გქონიათ, რომ გესწავლათ?

— რომ ვთქვა, არა-მეთქი, მართალი არ ვიქნები, ქართულს სიამოვნებით ვისწავლიდი, მაგრამ...

— კეთილი, რუსულად ვილაპარაკოთ. ვინ არის დავით ლორია?

— წარმოშობით ქართველი, ეროვნებით კი ყაზახი. მე ყაზახეთში ვარ დაბადებულ-გაზრდილი, მამაჩემი კი გუდაუთიდანაა.

— საქართველოში პირველად ხართ?

— ბოლოს გუდაუთაში ვიყავი 2000 წელს. თბილისში კი მართლაც პირველად ვარ.

— მერე პირველი შთაბეჭდილება როგორია?

— აღფრთოვანებული ვარ, თბილისი ძალიან ლამაზია.

— ალბათ დათვალიერებასაც მოასწრებთ...

— აუცილებლად, ხვალინდელი დღე წინ მაქვს.

— შაბათის თამაშზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა...

— ფაქტია, ძნელი თამაში გველის. ქართველებისგან ბევრ რამეს ვისწავლით, თუმც...

*ჩაფიქრდა, გაიღიმა და...*

— უნდა მოგიგოთ...

— თამამი განცხადებაა...

— უბრალოდ, ვალდებულნი ვართ ასე ვიფიქროთ და შევეცდებით, მართლა მოვიგოთ, საამისოდ არაფერს დავიშურებთ.

**გიორგი მუზაძიძე**

## geo_geo_fan@hotmail.com

# რატომ არა გვყავს მეფე ერეკლე?

## შეცდომა, ზევრი შეცდომა

მეორე დღეა, თქვენი, ანუ ჩვენი მკითხველების და ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა წერილებს ვეცნობით და ერთ ტენდენციაზე გავამახვილებთ ყურადღებას: ხვალ საქართველოს ნაკრები თამაშობს, მაგრამ ამ კონკრეტულ მატჩზე მოსაზრებების გამოთქმით წერილთა ავტორები თავს მაინცდამაინც არ ინუხებენ. ჩვენს ფოსტაში შემოსულ წერილთა შინაარსი უფრო გლობალურია და ფეხბურთის ფედერაციის პოლიტიკას ეხება. ვფიქრობთ, ეს ლოგიკურიცაა — ყაზახეთთან არაფრისმომცემი მატჩის თაობაზე წერას, გულშემატკივარს უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა ურჩევნია...

**ZANGO89**: *მრცხვენია, ასეთი ნაკრები რომ გვყავს!!! დარსაძე კი არა ერეკლე მეორე ვერ მოიგებდა ამ თამაშს!!!*

ავტორი, ალბათ, დანიასთან მარცხს გულისხმობს. სირცხვილს რაც შეეხება, გულშემატკივარს კი არა, სხვებს უნდა რცხვენოდეთ. ხოლო ერეკლე მეორე... ზანგო89-ს გვსურს ვთხოვოთ, კიდევ მოიწეროს და თავისი მოსაზრება გაგვიზიაროს, თუ რატომ იყო წარმოუდგენელი, 1:6-ზე უკეთესი შედეგის მიღწევა.

**DATO**: *გამარჯობათ. სანამ ქართველები საქმისადმი დამოკიდებულებას არ შევიცვლით ძირეულად, მანამდე არც ფეხბურთში და არც არაფერში არ გვეშველება. სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა. კეთილი სურვილებით.*

ამ წერილის ავტორთანაც იგივე თხოვნა გვაქვს, რაც წინა წერილის ავტორთან — განგვიმარტოს, რას გულისხმობს „საქმისადმი დამოკიდებულებაში“. დაგვეთანხმებით, რომ ამგვარი ზოგადი განსაზღვრება ძალიან ბევრ რამეს შეიძლება გულისხმობდეს, ჩვენთვის კი სწორედ კონკრეტული არგუმენტები და მოსაზრებებია საინტერესო.

**KAXABERO**: *მივესალმები ყველაზე მაგარი სპორტული გაზეთის „სარბიელის“ მკითხველებს და განსაკუთრებით ბუარას. მას პირადად ვიცნობ და კარგია, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ ეს რუბრიკა კვლავ აღდგა. მართალია, პირადად მე პირველად გწერთ, თუმცა ამ შესანიშნავ რუბრიკას სისტემატურად ვადევნებ თვალს.*

*ეხლა რაც შეეხება თემას: სიმართლე ითქვას, ჟორდანიას წასვლის შემდეგ დიდი იმედი მქონდა, რომ ქართულ ფეხბურთში სასიკეთო ძვრები მოხდებოდა. არ დავიმალავთ და, ამის იმედი ახლაც მაქვს, თუმცა სამწუხაროდ, არა ისეთი, როგორიც რამდენიმე თვის წინ მქონდა. არავინ დავობს, რომ ნოდარ ახალკაცმა ფეხბურთი კარგად იცის და ვერც პატრიოტიზმის ნაკლებობაში დავდებთ ბრალს, მაგრამ ახალკაცმა მისი პრეზიდენტობის მცირე დროში უკვე მოასწრო რამდენიმე ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რამაც ფეხბურთის გულშემატკივრებში დიდი გაოცება გამოიწვია. ფაქტია, რომ ახალკაცს ფედერაციის მართვის ორგანიზაციული ნიჭი არ აღმოაჩნდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მაგალითისთვის ნაკრების მწვრთნელობიდან ჟირესის უცერემონიოდ გათავისუფლებაც კმარა, რასაც უკვე მოჰყვა ფრანგი სპეციალისტის ფიფაში სამართლიანი ჩივილი. ყოველივე ეს კი სიკეთეს ნამდვილად არ მოგვიტანს. ცალკე საუბრის თემაა გაიოზ დარსაძე. ვერავინ დამარწმუნებს, რომ დარსაძე ჟირესზე უკეთესი ვარიანტია და არც ჟირესის ხელფასი გამოადგება ახალკაცს მყარ არგუმენტად, რამეთუ, პრეზიდენტი ვალდებულია მოიძიოს სპონსორები და არა პირიქით, როგორც ეს შესაძლოა „ფეროს“ შემთხვევაში მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ შესარჩევ ციკლში დანიასთან და მისთანებთან 1:6-ები ნამალივით გამოწერილი გვექნება.*

*ამ ეტაპზე ფედერაცია ვალდებულია, რადაც უნდა დაუჯდეს, ფინანსები გამონახოს და მომავალი შესარჩევი ციკლიდან საქართველოს ნაკრებს სათავეში კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელი ჩაუყენოს და პრეზიდენტმა აღარასოდეს გააკეთოს ისეთი უპასუხისმგებლო განცხადებები, როგორიც ნაკრების შემადგენლობის დაყენებას მწვრთნელი არ სჭირდებაო, რომ თქვა. თორემ 2007 წელიც მალე მოვა...*

თქვენი ნებართვით, ამ წერილს უკომენტაროდ დავტოვებთ და აი, რატომ: ავტორი სრულიად კონკრეტულ შეცდომებზე მიუთითებს, რომლებიც ფედერაციის პრეზიდენტის მუშაობაში შენიშნა და კარგი იქნება, თუ ამ შენიშვნებზე კომენტარებს თქვენ, გულშემატკივრები გააკეთებთ.

გუშინდელ თხოვნას კი ერთხელაც გავიმეორებთ: ნოდარ ახალკაცის და გაიოზ დარსაძის პოლიტიკის მომხრეებმა აქტიურობა გამოიჩინეთ და მოგვწერეთ...

**WEB-ოსტატი ბუარა**



geo_geo_fan@hotmail.com

# მივესალმები ბოლნისს!

## კობა ჟორჟიკაშვილი: პრობლემა ამინდი და მოედანია


კობა ჟორჟიკაშვილი

**ისე მოხდა**, რომ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ყაზახეთთან მატჩისთვის მოსამზადებლად რამდენჯერმე გამოიცვალა ადგილი. გუნდი მცხეთაშია დაბანაკებული, მაგრამ გუშინწინ ჯერ „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მოედანზე ივარჯიშა, ხოლო გუშინ საქართველოს ნაკრების ბაზაზე.

კობა ჟორჟიკაშვილმა დაახლოებით საათნახევარიორი საათით დატვირთა ბიჭები. საბედნიეროდ, ტრავმები არაა, თუმცა მწვრთნელს უამინდობის გამო მოედნის პრობლემა აწუხებდა — სხვა მხრივ, ნორმალურად ვემზადებით, ფეხბურთელები მხნედ გამოიყურებიან და მოგებას ვგეგმავთო, გვითხრა ჟორჟიკაშვილმა. შეგახსენებთ, ახალგაზრდულ ნაკრებთა შერკინება დღეს 15 საათზე ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ გაიმართება.

„შემადგენლობაში ცვლილება აღარ მომხდარა. გიორგი კახელიშვილისა და რევაზ გეწაძის გამოძახების ამბავი კი გეცოდინებათ. კახა მახარაძემ, გიორგი ჭელიძემ და რევაზ გეწაძემ გუშინ ეროვნულ ნაკრებთან ერთად ივარჯიშეს, ორმხრივ თამაშში მიიღეს მონაწილეობა, დღეს კი ისინი ჩვენთან არიან და, ცხადია, ბოლნისში ითამაშებენ“ — გვითხრა ჟორჟიკაშვილმა.

ქართველ 21-წლამდელთა თავკაცი ბოლნისში თამაშს დადებითად უყურებს: „ერთადერთი უარყოფითი მომენტი ისაა, რომ „თამაზ სტეფანიაზე“ მინდორი საუკეთესო მდგომარეობაში არ იქნება. სხვა მხრივ კი, ცხადია, ბოლნისში ოფიციალური მატჩის გამართვას მივესალმები — გულშემატკივარი მოვა სტადიონზე და თანაც, ხომ იცით, ბოლნისელ ქომაგებს როგორი მხარდაჭერა შეუძლიათ. სხვა თუ არაფერი, მთელ მსოფლიოშია ასეთი პრაქტიკა, რომ ოფიციალური სანაკრებო მატჩები დედაქალაქის გარდა რეგიონებშიც ტარდება. ვისურვებდი, ბოლნისის წყალი სხვა ქალაქებსაც გადასხმოდეს. ეს რეგიონებში ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს“.

და ერთიც, საინტერესოა, რომ ყაზახი ახალგაზრდები ქართული მინდვრის უნახავად გავლენ თამაშზე. ანტონ შოხის გუნდი გუშინ საღამოს ჩამოვიდა და ვარჯიში ველარ მოასწრო.

დანარჩენი ბოლნისში ვნახოთ. იმედია, ჟორჟიკაშვილის გუნდს ქვემო ქართლი მოგებით დაებედება...

**ილია ნანობაშვილი**

## დავით ყიფიანის თასი

### მერვედფინალი. წილისყრა



# ვინ დაატკბო, ვინ დაამწუხრა

## სათასო თექვსმეტეული დაიკენჭა

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. თექსმეტი გუნდიდან სამი პირველლიგელია და სამივე მათგანს — ახალციხის „მესხეთს“, „გაგრას“ და საჩხერეს „ჩიხურას“ — ძლიერი მეტოქეები ერგო, ანუ ისეთები, გასვლის შანსი, ერთი შეხედვით, არც უნდა ჰქონდეს, მაგრამ სათასო მატჩებს ცოტა სხვანაირი სპეციფიკა აქვს და სენსაციებიც უყვარს.

და მაინც, თბილისის „დინამოს“, თბილისის „ამერსა“ და ბოლნისის „სიონს“ სხვებზე მეტად გაუმართლათ.

ასე რომ, მივადგეთ წყვილებს, ფავორიტ-აუტსაიდერი რვავე მათგანში იკვეთება: მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია, „სოხუმმა“ „ბორჯომს“ ტოლ-სწორად თამაში შეჰბედოს ან „ზესტაფონმა“ „სპარტაკთან“ გამოიგდოს თავი. „ვიტ ჯორჯიას“ წარმომადგენლებსაც კმაყოფილება დაეტყოთ სახეზე, როცა ქუთაისის „ტორპედო“ ერგოთ მეტოქედ.

ყველაზე გამოუცნობი წყვილი კი, ალბათ, „ბათუმი“ — „კოლხეთია“: კი, აჭარელებს შედარებით ღონიერი გუნდი ჰყავთ და ფინანსურადაც წელგაშლილები არიან, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ზღვისპირული დერბია და თანაც, მეორე მატჩი ფოთშია — ასე რომ, პატარ-პატარა კოზირები კოლხებსაც აქვთ.

პირველი მატჩები 8-9 ნოემბერს გაიმართება, საპასუხოები — 22 ნოემბერს

**ილია ნანობაშვილი**

**სპარტაკი** თბილისი — **ზესტაფონი**
**ამერი** თბილისი — **გაგრა**
**სიონი** ბოლნისი — **მესხეთი** ახალციხე
**დინამო** ბათუმი — **კოლხეთი** ფოთი
**ლოკომოტივი** თბილისი — **თბილისი**
**ვიტ ჯორჯია** თბილისი — **ტორპედო** ქუთაისი
**ჩიხურა** საჩხერე — **დინამო** თბილისი
**ბორჯომი** — **დინამო** სოხუმი

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

### ჩვენი მეტოქე

# პოსტსტრაკოშეული ქულები არ გვაწყობს


ჰანს-პეტერ ბრიგელი

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებს მუნდიალ-2006-ის შესარჩევ ეტაპზე ამბიციური ზრახვები მარტშივე დაეხშო და ერთადერთი, რაც ახლა გვსურს, მეხუთე ადგილზე გასვლაა — ამ „საპატიო“ ადგილისთვის ბრძოლაში კი ქართველთა კონკურენტი ალბანეთის ნაკრებია. ჰანს-პეტერ ბრიგელის „არწივები“ 8 ოქტომბერს დნეპროპეტროვსკში უკრაინას სტუმრობენ, ხოლო 12-ში ტირანაში დაუხვდებიან თურქებს. უკრაინამ უკვე დაიგულა თავი მუნდიალზე და ვინ იცის, ალბანეთს თავი არც შეაკლას, თუმცა ცხრილიდან გამომდინარე, ქართველებს სწორედ ოლეგ ბლოხინის ბიჭების მოგება გვაწყობს.

ბრიგელმა საუკრაინო-სათურქეთოდ უძლიერესი შემადგენლობა გამოიძახა. მათ შორისაა რომ „ლაციოში“ ახალგადასული ახმახი ფორვარდი იგლი ტარეც, რომელმაც ბოლო ორი სანაკრებო მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. ეგაა, მხცოვანმა მეკარე ფოტო სტრაკოშამ კარიერა საბოლოოდ დაასრულა და პოლიტიკისკენ მიილტვის, მასთან ერთად ნაკრებს დაეთხოვნენ მეჰმეტ დრაგუშა, ელვირ მუკა და არდიტ ბეჩირი.

ბრიგელის რჩეულები კი ესენი არიან:

***მეკარეები:*** *ილიონ ლიკა (დინამო, ტირანა), ისლი ჰიდი (ტირანა);*

***მცველები:*** *ელვირ ბეჩირი (ალანია, რუსეთი), არმენდ დალკუ (ვორსკლა, უკრაინა), ტეფიკ ოსმანი (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ბესნიკ ჰასი (ანდერლეხტი, ბელგია), ადრიან ალიაი (ბრესტი, საფრანგეთი), ალტინ ჰასი (ანართოსისი, კვიპროსი);*

***ნახევარმცველები:*** *ლორიკ ჩანა (მარსელი, საფრანგეთი), ერვინ შკელა (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ედვინ მურატი (ირაკლისი, საბერძნეთი), ბლედი შკემბი (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ელვირ სინა, ვლოდიან დური (ორივე ტირანა), რედი ჯუპი (დიარბაქირი, თურქეთი), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია);*

***თავდამსხმელები:*** *იგლი ტარე (ლაციო, იტალია), ერიონ ბოგდანი (სიენა, იტალია), ალბან ბუში (ლევადიაკოსი, საბერძნეთი), ედმონდ კაპლანი (კარლსრუე, გერმანია), ფლორიან მურტაი (კატანძარო, იტალია).*

**ილია ნანობაშვილი**

# 284 000 მოდის. დაუმტკიცებელი 1000 ღირს

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის მორიგი კონფერენცია გამართა. ღონისძიებას ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თექვსმეტივე კლუბის წარმომადგენელი დაესწრო.

კონფერენციაზე ორი მთავარი საკითხი განიხილეს. უმაღლესი ლიგის კლუბებს სამ ასაკობრივ ლიგაშიც ჰყავთ გუნდები და უეფა მათ ფინანსურად ეხმარება. უეფამ უკვე გამოყო კიდეც თანხა — 284 000 შვეიცარიული ფრანკი. ჰოდა, პროფლიგის გუშინდელი კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ეს თანხა თანაბრად განაწილდება თექვსმეტივე გუნდზე. ამ ფულს კლუბები ამ თვეშივე მიიღებენ.

კონფერენციაზე დაუსაბუთებელ ბრალდებებზეც იმსჯელეს — მსაჯებმა დაგვწვეს, თამაში გაყიდული იყო, ფედერაცია „ზესტაფონს“ ლობირებს... ასეთი განცხადებები ბოლო დროს ხშირად ისმოდა და ფეხბურთის ფედერაციამ და პროფლიგამ სადისციპლინო კოდექსში დამატება შეიტანეს — თუ რომელიმე კლუბის წარმომადგენელი დაუსაბუთებულ ბრალდებას გააჟღერებს, კლუბი 1 000 ლარით დაჯარიმდება. გარდა ამისა, თუ კლუბის რომელიმე წარმომადენელს კონკრეტული ბრალდების მტკიცებულება გააჩნია, ის ფედერაციას უნდა ეცნობოს მისი საჯაროდ თქმამდე — ასეთი ვალდებულება დააკისრეს გუშინ ეროვნული ჩემპიონატის კლუბებს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლამპარდი ბარსაზე ოცნებობს



ფრენკ ლამპარდი საცოლესთან ერთად

**„ჩელსის“** ნახევარმცველმა ფრენკ ლამპარდმა მავანი ინგლისური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სეზონის მიწურულს ჟოზე მაურინიუს კლუბის დატოვებას და კატალონიურ „ბარსელონაში“ გადასვლას არ გამორიცხავს.

„ბარსა“ ადრეც მომწონდა და დღესაც ეს გუნდი ჩემს ყურადღებას სხვებზე მეტად იპყრობს. თან „კამპ ნოუზე“ რონალდინიო თამაშობს, ფეხბურთელი, რომლის გვერდით სიამოვნებით ვიბურთავებდი“ — განაცხადა 27 წლის ვარსკვლავმა.

ლამპარდს სურს, ჩემპიონთა თასი „ჩელსის“ შემადგენლობაში მოიგოს და თუ ეს მიმდინარე სეზონში მოხდა, ალბათ ფრენკი გაისად უკვე ახალი ჩემპიონატის, სავარაუდოდ ესპანური პრიმერადივიზიონის დაპყრობას ეცდება.

ალბიონელ ფეხბურთელსა და „ჩელსის“ მილიარდელ რუს მეპატრონეს ერთმანეთთან მშვენიერი ურთიერთობა აკავშირებთ. გასულ ზაფხულს რომან არკადიევიჩმა ფრენკ ლამპარდი და გუნდის კაპიტანი ჯონ ტერი ორი კვირით ოჯახებითურთ თავის ზღაპრულ იახტაზეც დაპატიჟა. ფრენკის კლუბში გულუხვად უხდიან — ხუთ მილიონს იღებს და სარეკლამო კომპანიიდან 5 კიდევ ემატება. ინგლისელი ნახევარმცველი თავის ამჟამინდელ მწვრთნელ მაურინიოსაც კარგად უგებს, თუმცა 2005-06-ის სეზონი მისთვის „ჩელსიში“ რიგით მეხუთეა და ჩემპიონთა ლიგის მოპოვების შემთხვევაში „ბარსას“ „ფანი“ ლამპარდი სატრანსფერო თვალით კატალონიისკენ გაიხედავს.

ეს ელენ რივესის, კატალონიელი მოდელის და ფრენკ ლამპარდის საცოლის დამსახურებაცაა. ელენი „ბარსას“ თავგამოდებული ინჩასია და, როგორც ესპანური გაზეთები იუწყებიან, საქმროც ფარულად რამდენჯერმე ჩაუყვანია კატალონიის მთავარქალაქში. წყვილს უკვე ჰყავს ერთი შვილი, პატარა ლუნა პატრისია და, მედიის ცნობით, უახლოეს რამდენიმე წელს ისინი სწორედ ბარსელონაში გაატარებენ.

ლამპარდს „ჩელსისთან“ კონტრაქტით 2009 წლამდე უწევს თანამშრომლობა და ფეხბურთელის ზღაპრული ფასის გამო დღეს „ბარსას“ მისი შეძენა არ შეუძლია. ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ კატალონიელებმა აბრამოვიჩი როგორმე მოთაფლონ. ეგებ მობურთალთა გაცვლაც მოხდეს ვინ წავა „სტემფორდ ბრიჯზე“ ინგლისელის მაგივრად, დეკო თუ ხავი? როგორც ამბობენ, მაურინიოს ორივეს თამაში მოსწონს.

**ლადო ხომერიკი**

# „რეალმა“ ანჩელოტის თვალი დაადგა



**მადრიდის** „რეალის“ წარმომადგენლობამ იტალიაში დაადასტურა ცნობა „ესპანური გრანდის კარლო ანჩელოტით დაინტერესების შესახებ.

„ვანდერლეი ლუშემბურგოსთან კონტრაქტი ივნისში გვეწურება. მის შემვლელად კარლო ანჩელოტი გვესახება. იგი პრეზიდენტ ფლორენტინო პერესსაც მოსწონს, არიგო საკისაც და მთელ სამწვრთნელო შტაბს... უდავოა, რომ ლუშემბურგოს „რეალში“ დარჩენა-არდარჩენა შედეგზე იქნება დამოკიდებული, თუმცა ანჩელტის მაინც ვაკვირდებით“ — განაცხადა „რეალის“ აგენტმა ერნესტო ბრონცეტომ.

ეს არ არის „მილანის“ მწვრთნელს გადაბარგების პირველი მცდელობა, მაგრამ ის, რომ კლუბთან ასე ახლოს მყოფი კაცი საჯაროდ აღიარებს ამას, ბევრს უნდა ნიშნავდეს.

„ბერნაბეუს“ ბოსებისა და იტალიელი ტაქტიკოსების თანამშრომლობა დღეს არ დაწყებულა. ფაბიო კაპელომ 1996-97 წლების სეზონში „რეალს“ პრიმერა მოაგებინა. „მილანისა“ და „პარმას“ ყოფილი თავკაცი არიგო საკი კი „რეალის“ სპორტული დირექტორის ფუნქციას ასრულებს და სწორედ მისი დამსახურებაა სერია A-სთან მჭიდრო კავშირების დამყარება.

„რეალს“ კი უნდა, მაგრამ მილანს?.. გალიანიმ დღეს განაცხადა, რომ ანჩელოტის საკითხი არ განიხილება. თუმცა, თუ ანჩელოტი კიდევ ერთ სეზონს გალევს ისე, რომ ვერაფერს მოიგებს... მოკლედ, ყველაფერი შესაძლებელია.

„ბრონცეტი ჩემი მეგობარია, აგერ უკვე ოცი წელიწადია მასთან არავითარი პრობლემა არ მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ანდრეი შევჩენკოს „წართმევას“ ცდილობდა, ახლა კი ანჩელოტის მიადგა. ჩვენ კარლოსთან 2007-მდე კონტრაქტი გვაკავშირებს და ამას ანგარიში ყველამ უნდა გაუწიოს“ — თქვა გალიანიმ.

**ზურაბ გოცირიძე**

# ბენიტესის ახალი მსხვერპლი





რაფაელ ბენიტესი ახლა ხოაკინზე ფიქრობს

**ეტყობა**, რაფაელ ბენიტესი „ლივერპულის“ მთლიანად გაესპანელებას აპირებს. ამჟამად „ენფილდის“ გუნდის დამრიგებლის სატრანსფერო სამიზნეზე „ბეტისის“ ნახევარმცველი ხოაკინი მოხვდა.

მადრიდული „ასის“ ცნობით, ბენიტესი მზადაა, თანამემამულეში 10 მილიონი ევრო გადაიხადოს და ზედ „ლივერპულის“ ფრანგი ჯიბრილ სისეც დაამატოს (რომლის ღირებულება 20 მილიონია). ესპანური სპორტული მედია იუწყება, რომ ხოაკინის წარმომადგენლები და ინგლისელი საფეხბურთო აგენტები ერთმანეთთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

ამასწინდელ „ლივერპული“ — „ჩელსის“ თამაშზე „სევილიის“ წარმომადგენელი გონსალო არგინიანო ბენიტესის თანაშემწემ პაკო ერერამ მიიწვია. ეტყობა, ტრიბუნაზე ხოაკინის „წითლებთან“ შესაძლო გადმობარგების შანსები მოიხილეს.

„ასი“ სევილიელი ნახევარმცველის „ენფილდურ“ ინტერესებზეც მოგვითხრობს. თუმც ხოაკინის სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადასროლა არც ისე ადვილი იქნება. „ბეტისის“ პრეზიდენტს, თავისი ვარსკვლავის გაცემა ეძნელება. მან „ლივერპულს“ წინა, შედარებით მწირ შეთავაზებაზეც (14 მილიონი ევრო) უყოყმანოდ თქვა უარი. საჭირო ფეხბურთელის შესაძენად საკმარისი თანხა ეტყობა ინგლისელებსაც არ მოეპოვებათ და ბენიტესმა ოპერაციაში სისეს ჩართვაც ამიტომ მოიფიქრა.

ფრანგი თავდამსხმელი ესპანელი მწვრთნელის გეგმებში აღარ შედის და სისესაც სენიორ რაფას განუწყვეტელი როტაციები, ჩანს, ყელში ამოუვიდა. „ენფილდზე“ იანვარში ფერნანდო მორიენტესის მოსვლამ გალს ძირითად თერთმეტში მოხვედრის გზები დაუხშო.

**ლადო ხომერიკი**

# პიპო ხელახლა დაბადებულა

**უკვე** ამ უქმეებზე შეიძლება შედგეს პიპო ინძაგის დაბრუნება. თავად ფეხბურთელის თქმით, ის თავიდან დაიბადა და სწამს, რომ მისთვის უბედურებების სერია დასრულდა:

„იმდენი ხანი გავიდა, რაც ფეხბურთი არ მითამაშია, რომ ლამის იმედი გადამეწურა. განსაკუთრებით რთული იყო ბოლო დღეები, როცა უკვე ვიცოდი, რომ დავბრუნდებოდი. თავიდან ვჩქარობდი მწყობრში ჩადგომას, მაგრამ მერე ექიმებს დავუჯერე და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ აღვიდგინე დაკარგული კონდიციები“.

ბოლო ორი წლის განმავლობაში სუპერპიპო ტრავმებმა გააწამა. რამდენიმე ოპერაციაც გაიკეთა მუხლზე და საზარდულზე, მაგრამ ახლა დაბრუნებისთვის მზადაა. შაბათს ის „ლინიანოს“ წინააღმდეგ ითამაშებს „მილანის“ ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში, რის შემდეგაც სერია A-შიც ალბათ უკვე მალე გამოჩნდება:

„ამჟამად ტკივილი საერთოდ არა მაქვს, რაც მაიმედებს, რომ მალე ჩვეულ ფორმას დავუბრუნდები. უკვე წინა შაბათს შემეძლო „მილანის“ ძირითად გუნდში თამაში, მაგრამ ვამჯობინე, არ გამერისკა.



ფილიპო ინძაგი

ერთი და ორი კვირა არაფერს წყვეტს. ჯობს, ცოტა მოვიცადო“.

სავარაუდოდ ინძაგი „კალიარის“ წინააღმდეგ მატჩში „მილანის“ განაცხადში იქნება.

„ძალიან მომენატრა თამაში. არ იცით, როგორ ველოდები მინდორზე გასვლას. ბალახზე ფეხს რომ დავადგამ, მეორედ დავიბადები“ — დასძინა პიპომ.

**ზურაბ გოცირიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტონის კარგი დახვედრის იმედი აქვს



ლუკა ტონის მუნდიალზე მოხვედრა სურს

**ლუკა ტონი** პირველად შეადგამს ფეხს „სტადიო ბარბერაზე“ მას შემდეგ, რაც „პალერმოდან“ წავიდა. იგი დიდი მღელვარებით ელოდება, როგორ მიიღებენ:

„ორი დაუვიწყარი წელიწადი გავატარე პალერმოში, სადაც ხალხისგან დიდ სითბოს ვგრძნობდი, თუმც მეც ბევრი გავეცი. რევანშის არავითარი სურვილი არ მაქვს, პირიქით. ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ჩემი წასვლის ირგვლივ. კლუბმა გამკიცხა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა. ჩემი ბრალი არ ყოფილა...

აქ მე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ. მხოლოდ და მხოლოდ აპლოდისმენტებს ველი, მაგრამ თუ ვინმე საწინააღმდეგოდ მოიქცევა, გულთან ახლოს არ მივიტან. მე იტალიის ნაკრებში მსურს თამაში. ჩემი მთავარი ოცნება მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრაა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამას მივაღწიო“.

ლუკა ტონი მარჩელო ლიპის გეგმებში ნამდვილად შედის. მას ბომბარდირის თვისებები აქვს — წინა ორ სეზონში ორმოცდაათი გოლი გაიტანა „პალერმოს“ ფორმით, ბელარუსთან მატჩში კი ჰეთ თრიქი შეასრულა.

**ზურაბ გოცირიძე**

# ჩევანტონი გადააგდეს



**„მონაკოს“** ურუგვაელმა ფორვარდმა ერნესტო ჩევანტონმა ნაკრებზე გული აიყარა, სანამ მწვთრნელად ხორხე ფოსატი იქნება, ეროვნულ გუნდში არ ვითამაშებო.

ჩევანტონმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ხუთი გოლი გაიტანა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფოსატიმ ეკვადორთან და არგენტინასთან მატჩებისთვის არ გამოიძახა.

„მწვრთნელმა მითხრა, ტრავმირებული ხარ და ვერ გათამაშებო. არადა ამჟამად კარგ ფორმაში ვარ. ნაკრების კარი მომიხურეს. ორი უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის არ გამომიძახეს. ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ აპირებენ ჩემს წაყვანას და ამან ძალიან დამწყვიტა გული“.

ურუგვაი შესარჩევ ჯგუფში ამჟამად მეხუთე ადგილზეა. ამავე საფეხურზე თუ დარჩა, ავსტრალიასთან ორმატჩიანი პლეი ოფი ელის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მეორე გერმანელი პარტიზანი
## რიობერი მათეუსის ნაკვალევზე



**„ჰერტას“**, „შტუტგარტისა“ და „ვოლფსბურგის“ ყოფილმა მწვრთნელმა იურგენ რიობერმა ბელგრადის „პარტიზანი“ ჩაიბარა. გერმანელმა ბელგრადში ვლადიმირ ვერმეჟოვიჩი შეცვალა, რომელმაც შარშან გუნდი ჩემპიონი გახადა და უეფას თასის მერვედფინალშიც გაიყვანა. ეს სეზონი „პარტიზანმა“ ცუდად დაიწყო და ვერმეჟოვიჩს სკამი დაატოვებინეს.

იურგენ რიობერმა ჯერჯერობით სამთვიანი კონტრაქტი გააფორმა. წლის ბოლომდე იმუშავებს და გუნდს თუ გამოასწორებს, კონტრაქტს გაუხანგრძლივებენ.

„პარტიზანი“ ამ ზაფხულს ევროტურნირს ნაადრევად გამოეთიშა, ჩემპიონატში კი ბოლო სამი მატჩიდან ორი წააგო და ფანებისგან შერისხული ვლადიმირ ვერმეჟოვიჩს იქ აღარ დაედგომებოდა.

ბელგრადის „პარტიზანს“ 2002-2003 წლებში ლოთარ მათეუსი წვრთნიდა, რომლის ხელშიც გუნდი ჩემპიონი გახდა. მათეუსი 2003-ში ბელგრადიდან წავიდა და უნგრეთის ნაკრები ჩაიბარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯანლუიჯი ბუფონი დეკემბრის მოლოდინში



**ჯიჯი ბუფონი** დარწმუნებულია, რომ დეკემბერში უკვე მწყობრში იქნება.

„იუვეს“ მეკარემ მხრის სერიოზული დაზიანება სასეზონის წინა მატჩში მიიღო, „მილანთან“. „როსონერის“ ბოსები თავის მხრივ ჯენტლმენურად მოიქცნენ და ბუფონის გამოჯანმრთელებამდე თავიანთი სათადარიგო კიპერი კრისტიანო აბიატი ათხოვეს.

„აბიატი გადასარევი მეკარეა. „უდინეზესთან“ ბრწყინვალედ ითამაშა და ვთვლი, რომ შეხვედრის ბედიც მან გადაწყვიტა“ — შეაქო შემცვლელი ჯანლუიჯიმ. საკუთარ თავთან დაკავშირებით კი შემდეგი განაცხადა:

„ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის. ნოემბრის შუა რიცხვებისთვის ვარჯიშს დავიწყებ. ვიმედოვნებ, რომ დეკემბრისთვის უკვე საბოლოოდ ვიქნები მზად. თუმცა, მართალი რომ გითხრათ, ჩემს სხვა ტრავმებს რომ ვადარებ, ეს ძალიან სერიოზულია, რაც ცოტა მაშინებს კიდეც, მაგრამ თავს მაინც კარგად ვგრძნობ და მჯერა, რომ თანაგუნდელებთან ერთად მწვერვალებს დავიპყრობ“.

**ზურაბ გოცირიძე**

# ბარბარას ბუცები

მას შემდეგ, რაც ხავიერ პორტილიო „რეალიდან“ „ბრიუგეში“ გადავიდა, ბუცების პრობლემა აწუხებს. ფეხბურთელს ესპანური ფირმა JOMA-ს („ხომა“) ფეხის სამოსის ჩაცმა სურს, მაგრამ ბელგიელებს „ადიდასთან“ აქვთ კონტრაქტი და ყველა მოთამაშე ვალდებულია, ამ ფირმის ბუცები ეცვას. პორტილიო ბავშვობიდან JOMA-ს შეჩვია, „ადიდასმა“ კი ფეხებზე მაზოლები გაუჩინა. „ბრიუგე“ ცდილობს, ესპანელს პრობლემა მოუგვაროს.



მაგალითად მალტის „ბირკირკარას“ ფეხბურთელი ეტიენ ბარბარა სხვადასხვა ფირმის, თან სხვადასხვა ფერის ბუცებით თამაშობს. მარჯვენა ფეხზე თეთრი აცვია, მარცხენაზე — შავი. „ყოველთვის ვცდილობდი, რამე ორიგინალური გამეკეთებინა და ქომაგები გამეხალისებინა. ადრე ვარცხნილობას ვიცვლიდი ხშირ-ხშირად, ახლა კი ექსპერიმენტებს ბუცებზე ვატარებ“ — თქვა ბარბარამ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლუის ფერნანდესი ყატარში ჩხუბობს

**ფრანგული** პსჟ-ს, აგრეთვე ესპანური „ბილბაოსა“ და „ესპანიოლის“ ძველი თავკაცი ლუის ფერნანდესი ყატარში მეტოქე ფეხბურთელის მიმართ აგრესიული ქცევისთვის დააჯარიმეს.

ეს დრამატული მატჩი 1 ოქტომბერს ჩატარდა ალმოსავლურ ლიგაში. ფერნანდესის ამჟამინდელი გუნდი „ალ რაიანი“ „ალ ხორთან“ 90-ე წუთამდე 1:0-ს იგებდა, თუმცა მატჩის უკანასკნელ წამებზე მაჰმუდმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. საბრალო ფეხბურთელმა თავისი „ალ ხორი“ კი გადაარჩინა წაგებას, მაგრამ ლუის ფერნანდესის რისხვას ვერ გადაურჩა — თავისი ექსცენტრულობით ცნობილმა დამრიგებელმა მოედანზე ერთ-ერთი სადავო ეპიზოდისას მაჰმუდს იდაყვი ხეთქა ცხვირში...

მოჩხუბარ სპეციალისტს 5 ათასი ევრო გადაახდევინეს და „ალ რაიანის“ მომდევნო ორ თამაშზე დასწრება აუკრძალეს.

**ლადო ხომერიკი**

## იტალია
### სერია B. VIII ტური

**ტრიესტინა 2:0 ტერნანა**
1:0 ბაუ (17), 2:0 პიანუ (50)

**მოდენა 1:0 კროტონე**
1:0 ბუჩი (90)

**ჩეზენა 1:0 კატანია**
1:0 პესტრინი (88)

**პესკარა 3:1 ვიჩენცა**
1:0 ბოფილიო (28), 1:1 კერუბინი (35), 2:1 კამარატა (36), 3:1 მატეინი (90პ)

**კატანძარო 1:2 აველინო**
0:1, 0:2 დანილევიჩიუსი (18, 22), 1:2 კორონა (90)

**ბრეშა 0:2 რიმინი**
0:1 კარაჩოლო (18), 0:2 მოტა (88)

**პიაჩენცა 3:0 ატალანტა**
1:0 კაჩა (20), 2:0 კამპანარო (34), 3:0 ჯანკი (81)

**ბარი 1:1 მანტოვა**
0:1 ნოსელი (9), 1:1 სანტორუვო (52)

**არეცო 1:2 ტორინო**
0:1, 0:2 ფანტინი (16, 35), 1:2 აბრუსკატო (45პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 8 | 6 | 2 | 0 | 13:5 | 20 |
| ტორინო | 7 | 5 | 1 | 1 | 9:3 | 16 |
| მოდენა | 8 | 4 | 4 | 0 | 9:3 | 16 |
| ტრიესტინა | 8 | 4 | 3 | 1 | 8:3 | 15 |
| ჩეზენა | 8 | 5 | 0 | 3 | 14:11 | 15 |
| ატალანტა | 8 | 5 | 0 | 3 | 11:11 | 15 |
| კატანია | 8 | 4 | 2 | 2 | 12:7 | 14 |
| კროტონე | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 13 |
| ვერონა | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | 12 |
| არეცო | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | 12 |
| პიაჩენცა | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| ბოლონია | 8 | 3 | 2 | 3 | 9:10 | 11 |
| ბრეშა | 8 | 2 | 4 | 2 | 10:9 | 10 |
| პესკარა | 8 | 3 | 1 | 4 | 10:11 | 10 |
| რიმინი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 9 |
| ვიჩენცა | 8 | 2 | 1 | 5 | 6:11 | 7 |
| ბარი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:8 | 6 |
| კრემონეზე | 8 | 1 | 3 | 4 | 6:10 | 6 |
| ალბინოლეფე | 8 | 0 | 5 | 3 | 5:8 | 5 |
| აველინო | 8 | 1 | 2 | 5 | 7:15 | 5 |
| ტერნანა | 8 | 1 | 2 | 5 | 5:15 | 5 |
| კატანძარო | 8 | 1 | 1 | 6 | 5:13 | 4 |

# გეგმა საჭიროა: ქვა მზეს უნდა დაუმიზნო



*1930 წლიდან 75 წელიწადია გასული. სხვა სიტყვებით, ურუგვაის ნაკრები პირველად 75 წლის წინ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. კიდევ, ასეც შეიძლება ითქვას: წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორია 75 წლისა გახდა... და აი, დღეს, 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი ეტაპის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „სელესტე“ ანუ ურუგვაის ეროვნული გუნდი, რომელსაც ამ მეტსახელს ცისფერი ფორმის გამო ეძახიან, მეხუთე ადგილზეა ანუ სრულიად შესაძლებელია პლეი ოფში გვაიდეს, სადაც ალბათ ავსტრალიას შეხვდება.*

*რა თვისებებით გამოირჩევა ურუგვაი? როგორც მისი მწვრთნელი ხორხე ფოსატი ამბობს, ამ გუნდის დამახასიათებელი თვისება ძალ-ღონის გამოლევამდე ბრძოლაა.*

*ინტერვიუ, რომელიც* **FIFA.COM***-ის კორესპონდენტებმა ჩაიწერეს, ჩვენ კი გადმოვაქართულეთ, პერუში, ლიმაში შედგა, 17 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში და პირველი, რითაც ურუგვაელთა თავკაცმა ყურადღება მიიპყრო, ჯანსაღი გამომეტყველება გახლდათ — ერთი თვის წინ, 52 წლის სპეციალისტი ცუდად გახდა და საავადმყოფოში გააქანეს.*

*„ყველას ეგონა, რომ გული დამიავადდა, მაგრამ ექიმებმა კარდიოლოგიური პრობლემები გამორიცხეს. ჩემს ცუდად გახდომაში გასტრიტი ყოფილა დამნაშავე“, — თქვა ფოსატიმ, რომელსაც სულაც არ უკვირს ხალხმა მის გულზე რომ მიიტანა ეჭვი: „ასაკს პლუს სამსახურის სტრესული ბუნება, სრულიად შესაძლებელია კარდიოლოგიური პრობლემების გამომწვევი მიზეზი გამხდარიყო“*

— სინიორ ფოსატი, თქვენმა გუნდმა ბოლო თამაშში კოლუმბია დაამარცხა და ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ თქვენ 2:0-ს იგებდით, მეტოქე კი წამოგეწიათ და გამარჯვების გოლი მაინც თქვენ გაიტანეთ.

— გულწრფელად რომ გითხრათ, მე სხვა ანგარიშს ვამჯობინებდი, კერძოდ, 6:0-ს. საქმე ის გახლავთ, რომ კოლუმბიელებმა ბარანკილაში 5:0 მოგვიგეს და იმ შემთხვევაში თუ თანაბარ ქულებს დავაგროვებთ, ჩვენს შორის უმჯობესი ურთიერთ შეხვედრების მიხედვით გაირკვევა.

მონტევიდეოში მეორე ტაიმი, რომ დაიწყო 25 წუთის მანძილზე ყველაფერი ისე მიდიოდა, თავი სიზმარში მეგონა. დიდებულად ვთამაშობდით, 2:0-ს ვიგებდით, ხალხი დიდი ენთუზიაზმით გვიჭერდა მხარს, ალვარო რეკობას შეცვლის დროს ფეხზე წამოდგნენ და ოვაცია მოუწყვეს. უცებ... რამდენიმე წუთში სიზმარი კოშმარად იქცა. თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით ისე აღმოვაჩინეთ, რომ ერთადერთი, რითაც დაკავებული ვიყავით და რისი გაკეთებაც შეგვეძლო, განწირული თავდაცვა იყო, სიცოცხლის გადარჩენა. და თურმე, ასეთ ვითარებაშიც შეიძლება ადამიანი კმაყოფილი დარჩე — ბიჭებმა არ იპანიკეს, არც მეკარე გაგვიშვია კუთხურის დროს მოწინააღმდეგის საჯარიმოსკენ თავის დასარტყმელად. ჩვენ კომბინაცია დავაწყვეთ და მარსელო ზალაიეტამ საბოლოო დარტყმა პროფესიული სიმშვიდით შეასრულა. სხვათაშორის, წამით ისე გამოჩნდა, თითქოს ბურთი კარში არ შედიოდა და მთელ ურუგვაის სუნთქვა შეეკრა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ასეთმა გამარჯვებამ კიდევ უფრო გაგვაძლიერა. ახლა ჩვენ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის გამოცდილებაც შევიძინეთ. სხვათაშორის ბიჭების ბოლო ნახვისას სწორედ ეს ვიფიქრე უპირველეს ყოვლისა. სამწუხაროდ უნდა ვაღიარო, რომ ურუგვაიში ფეხბურთელებს უფრო ტელეფონით ვესაუბრები ან მეილს ვუგზავნი, ვიდრე პირისპირ ველაპარაკები.

— ურუგვაის ფეხბურთს პარადოქსული ამბავი სჭირს: უამრავი საუკეთესო ფეხბურთელი გყავთ, რომლებიც მსოფლიოს უძლიერეს გუნდებში თამაშობენ, მაგრამ ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა მაინც მარადიულ პრობლემადაა ქცეული.

— ურუგვაელებს საქმის გადადება გვჩვევია. ასე განსაკუთრებით ადმინისტრაციული საქმით დაკავებული ადამიანები იქცევიან. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების მართვაში უამრავი ადამიანია ჩარეული, ამა თუ იმ მატჩამდე მხოლოდ 48 საათით ადრე ვადგენთ ხოლმე ფეხბურთელთა სიას. ურუგვაიში წინასწარ არავინ არაფერს გეგმავს, ყოველთვის გვგონია, რომ ბოლო წუთის აქტიურობა საკმარისი იქნება საქმის გასაკეთებლად. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ საქმისადმი ცოტა უფრო სერიოზული მიდგომა რომ გვქონდეს, უდიდეს მარაგს ავამოქმედებდით. მეტიც, მე თუ მკითხავთ, ყველაფერი კარგად რომ დავგეგმოთ, იმის მიუხედავად მწვრთნელი მე ვიქნები თუ სხვა, გერმანიაში უდიდეს ჩემპიონატს ჩავატარებთ, თუმცა ამწუთას ყველაფერი მოახლოებულ ხუთ დღეზეა დამოკიდებული.

— მწვრთნელის შეცვლამ როგორ მოქმედა ცხრილზე?

— ცოდნა და გამოცდილება მკარნახობს, რომ პროცესი, რომელიც ლოგიკურ დასასრულამდე არ მიდის, კარგ შედეგს ვერასდროს მოიტანს. იდეალურია ის ვითარება, როდესაც მწვრთნელს კამპანიის დაგეგმვისა და მიზნის მიღწევისთვის ადექვატურ დროს აძლევენ და აცლიან. მგონი, სანამ მწვრთნელი ოფიციალურ მატჩებში გაიყვანს გუნდს, ათი ამხანაგური შეხვედრა უნდა გამართოს. ჩვენთან მოსამზადებელი პერიოდი სხვა სპეციალისტს, ხუან რამონ კარასკოს ჰქონდა, შესარჩევი მატჩები კი მე მაქვს.

ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ურუგვაელებმა ახალი მწვრთნელის დანიშვნას ხუთი თვე მოანდომეს. დამეთანხმებით ამით მეტოქეებმა უდიდესი ფორა მიიღეს. მე რომ მოვედი, დავინახე, რომ კოლუმბიასა და პერუსთან შეხვედრებისთვის მოსამზადებლად აშკარად მეტი დრო მჭირდებოდა. მე დაგეგმვა მიყვარს, თვისება მაქვს ასეთი. დარწმუნებული ვარ, რომ წარმატება შრომას მოაქვს და არა თავის [illegible].

— შემდეგი მატჩი ეკვადორში, კიტოში გაქვთ. იქ თქვენ გამოუშვიათ. რას ელით კიტოდან?

— ეკვადორი ანგარიშგასაწევი მეტოქეა, რომლის შესახებაც ბოლო წლებში ბევრს ლაპარაკობენ. ჩვენც ნებისმიერ მოწინააღმდეგეს პატივს ვცემთ, მაგრამ ისიცაა, რომ ეკვადორელთა ავან-ჩავანს ძალიან კარგად ვიცნობთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ზღვის დონიდან ძალიან მაღლა თამაშია. ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ სიმაღლის ეფექტი მინიმუმამდე დავიყვანოთ. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რადგან ჩემს გუნდს ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე კარგად თამაშის გამოცდილება უკვე აქვს. შარშან კოპა ამერიკაზე კრუზოში კოლუმბიასთან ვითამაშეთ საკმაოდ კარგად. მოკლედ, ეკვადორელებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ურუგვაელებს მათი შიშის არანაირი საფუძველი არ გვაქვს.

**— ერთი სიტყვით, რას ელით, იცით...**

— დიახ. მაგალითად გეტყვით სასტუმროს სახელს, რომელშიც ვიცხოვრებთ... ხუმრობა გვერდით იყოს და ეკვადორში უამრავი მეგობარი მყავს, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში მათი მეტოქე უნდა ვიყო.

**—შემდეგ კი მონტევიდეოში არგენტინას მასპინძლობთ. ამ თამაშის შემდეგ რას გააკეთებდით სიამოვნებით?**

— სახლში დავჯდებოდი ცოლთან, ბავშვებთან და რამდენიმე უახლოეს მეგობართან ერთად. ამ საგანგებო დღეს სიამოვნებით გავხსნიდი ვისკის და კიდევ ერთიორ საგანგებო სასმელს. მოკლედ, ჩემი ოცნება ეს არის... სინამდვილეში კი, ალბათ პლეი ოფებისთვის მზადება მოგვიხდება. ერთ ფილოსოფოსს უთქვამს, თუ გინდა ქვა მდინარის გაღმა ნაპირზე გადააგდო, გულში მისი მზისთვის მიწვდენა უნდა ამოიჭრაო.




მარსელო ზალაიეტამ კოლუმბიას სამჯერ გაუტანა




ხორხე ფოსატი ურუგვაის ნაკრებს მოძღვრავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრაზილიიდან მსოფლიო წერტილივით მოჩანს

## მიეცი, იოზეფ, მიეცი!

**მიშელ პლატინის** აზრით, ბრაზილიის ნაკრები რამდენიმე წლით უსწრებს საფრანგეთის ნაკრებს და დანარჩენი მსოფლიოს ფეხბურთს. პლატინის მიაჩნია, რომ რაიმონ დომენეკის გუნდს მომავალი ჩემპიონატის მოგების შანსი არა აქვს, ხოლო კარლოს ალბერტო პარეირას შეგირდებს მსოფლიოს თასი ახლავე უნდა ჩააბარონ.

„დღეს საფრანგეთსა და ბრაზილიას შორის ძალიან დიდი სხვაობაა. ასეთი ძლიერი გუნდი ბრაზილიელებს ალბათ 1970-შიც არ ჰყოლიათ. ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ამ ზაფხულს მათ კონფედერაციის თასი რომ გადასცა, მე ვუთხარი: „შეგიძლიათ, მსოფლიოს თასი მოიტანოთ და ისიც ახლავე მისცეთ, რათა იგივეს გამეორება 2006 წელსაც არ მოგიწიოთ".

| 13254 | ინგლისი-ავსტრია | 1.90 | 1.70 |
| 13256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 13257 | შოტლანდია-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 13259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13263 | ლიტვა-სერბეთი | 1.90 | 1.70 |
| 13265 | დანია-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 13267 | ჩეხეთი-ჰოლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13268 | ბელგია-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |
| 13269 | იტალია-სლოვენია | 2.00 | 1.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12227 | სამხრეთ აფრიკა-დრ კონგო | 1.70 | 1.90 |
| 12228 | ბენინი-ლიბია | 1.70 | 1.90 |
| 12229 | ნიგერია-ზიმბაბვე | 1.90 | 1.70 |
| 12231 | მალავი-კენია | 1.70 | 1.90 |
| 12232 | უგანდა-ბურკინა ფასო | 1.70 | 1.90 |
| 12233 | ბოსტვანა-გვინეა | 1.70 | 1.90 |
| 12234 | გაბონი-ალჟირი | 1.70 | 1.90 |
| 12235 | კაპე ვერდე-განა | 1.70 | 1.90 |
| 12236 | სენეგალი-მალი | 1.90 | 1.70 |
| 12237 | სუდანი-კოტ დიუარი | 1.70 | 1.90 |
| 12238 | ტუნისი-მაროკო | 1.70 | 1.90 |
| 12239 | რუანდა-ანგოლა | 1.70 | 1.90 |
| 12240 | კამერუნი-ეგვიპტე | 1.90 | 1.70 |
| 12241 | კონგო-ტოგო | 1.70 | 1.90 |
| 12242 | პანამა-ტრინიდადი | 1.70 | 1.90 |
| 12243 | კოსტა რიკა-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 12244 | მექსიკა-გვატემალა | 2.00 | 1.60 |
| 12245 | კოლუმბია-ჩილე | 1.70 | 1.90 |
| 12246 | ბოლივია-ბრაზილია | 1.90 | 1.70 |
| 12247 | ვენესუელა-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12248 | ეკვადორი-ურუგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12249 | არგენტინა-პერუ | 2.00 | 1.60 |
| 12250 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 1.70 | 1.90 |
| 12251 | ხორვატია-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 12252 | ბულგარეთი-უნგრეთი | 1.90 | 1.70 |
| 12253 | ფინეთი-რუმინეთი | 1.70 | 1.90 |
| 12254 | ინგლისი-ავსტრია | 1.90 | 1.70 |
| 12256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 12257 | შოტლანდია-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 12259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.90 | 1.70 |
| 12263 | ლიტვა-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 12265 | დანია-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 12267 | ჩეხეთი-ჰოლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12268 | ბელგია-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |
| 12269 | იტალია-სლოვენია | 1.70 | 1.90 |

# დუდუ დადიანის IV მემორიალი





დადიანის თასის შარშან მომგები „სტუ-ჯეოსელი“

**A ჯგუფი**
სტუ
თსუ-ნიკორა
სსუ
ქუთაისი

**B ჯგუფი**
დინამო
აზოტი
მაკაბი
თბილავიამშენი

10 ოქტომბერი
ნიკორა – სსუ 12.00
აზოტი – მაკაბი 14.00
სტუ – ქუთაისი 16.00
დინამო – ავიამშენი 18.00
11 ოქტომბერი
სსუ – სტუ 12.00
ავიამშენი – აზოტი 14.00
ქუთაისი – ნიკორა 16.00
მაკაბი – დინამო 18.00
12 ოქტომბერი
სსუ – ქუთაისი 12.00
სტუ – ნიკორა 14.00
დინამო – აზოტი 16.00
მაკაბი – ავიამშენი 18.00

13 ოქტომბერი
A4 – B4 12.00 A3 – B3 14.00 A2 – B2 16.00
A1 – B1 (ფინალი) 18.00

## ეროვნულ-დადიანური

**10 ოქტომბერს** საქართველოში ახალი საკალათბურთო სეზონი იწყება. ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი იმართება, რომელშიც ქართული კლუბები ერთმანეთს ზვერავენ და კარსმომდგარი ჩემპიონატის წინ ბოლო მოთელვას გადიან.

თუმც რატომ მხოლოდ ქართული, დადიანის მემორიალში შარშან აზერბაიჯანულმა კლუბმაც ითამაშა, თუმც, სამწუხაროდ, წლეულს მხოლოდ ეროვნული დატვირთვა ექნება ამ ტურნირს.

მონაწილე იმდენივეა, რამდენიც ეროვნულ ჩემპიონატში. რვა გუნდი ორ ჯგუფადაა გაყოფილი და ერთი წრის მოლევის შემდეგ პირდაპირ ფინალი გაიმართება — ჯგუფში გამარჯვებულები დუდუ დადიანის თასისთვის შეებმებიან. ტურნირზე ყველა ადგილი გათამაშდება და ჯგუფებში პარალელურ ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს შეერკინებიან — მეორეები, მესამეები და მეოთხეები. ერთი სიტყვით, გათამაშების ფორმატი უცვლელია.

ესაა დუდუ დადიანის მეოთხე მემორიალი. აქამდე ეს ტურნირი თითოჯერ მოუგიათ ბათუმის „ბასკოს“, თბილისის „დინამოსა“ და „სტუ-ჯეოსელს“.

**ირაკლი პერტაია**

## გორდონ ჰერბერტი: ქართველები დიდებული ხალხი ხართ
### მამაცაშვილმა პარიზი გაინაღდა

*დღეს ძალიან აქტუალურია გორდონ ჰერბერტის ეროვნული ნაკრებიდან წასვლის საკითხი. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები B დივიზიონში ჩარჩა და ქართული მედია კანადელი მწვრთნელის წასვლის მიზანშეწონილობაზე მარჩიელობს. თუმც რაც არ უნდა მოხდეს, ჰერბერტი მაინც დარჩება ქართველი კალათბურთელის მწვრთნელი, რაკი მის გუნდ „რასინგში“ ჩვენებური გიორგი მამაცაშვილი ირიცხება, რომელიც პარიზელთა ძირითადი გუნდის განაცხადშია და უკვე ორი კვირაა კანადელის ხელქვეით ვარჯიშობს.*

**დღეს** საფრანგეთის ჩემპიონატი იწყება და შესაძლოა მამაცაშვილიც გამოჩნდეს „რასინგის“ შემადგენლობაში, არადა, გიორგის დუბლიორთა გუნდში მაინც მოუწევს ბურთაობა. „მამაცას“ გუშინ პარიზში შევეხმიანეთ და ახალი ამბები გამოვკითხეთ

— ცოტა ხნის წინ არ იცოდი, სად გააგრძელებდი კარიერას. ახლა რა ვითარებაა?

— 5 დღის წინ „რასინგთან“ ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და შესაბამისად ყველაფერიც გაირკვა. პარიზელებმა გუნდში დამტოვეს და ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული — თუ გამიმართლა, ძირითად გუნდში ვითამაშებ, არადა, დუბლიორებში ვიქნები.

— მოდი, ჯერ კონტრაქტის პირობებზე დაგეკითხები...

— საფრანგეთში ორი სახის კონტრაქტი არსებობს — სათამაშო და პირადული. სათამაშო კონტრაქტი იმისთვისაა საჭირო, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში გამოსვლის უფლება მოგეცეს, ანუ გუნდში ოფიციალურად ჩაირიცხო, პირადული კი ის კონტრაქტია, რომელიც პირობებს არეგულირებს — ხელფასს, ბინას, მანქანას და სხვადასხვა ყოფით საკითხს. მე სათამაშო კონტრაქტის გაფორმებით „რასინგის“ წევრი კი გავხდი, მაგრამ ხელფასის ოდენობა განსაზღვრული არა მაქვს.



გიორგი მამაცაშვილი

— მაშ, როგორ ცხოვრობ მანდ?

— კლუბის პრეზიდენტ რიდ სალივანთან, რომელიც ჩემი პირადი აგენტია, სიტყვიერი შეთანხმება მაქვს. ბინას, კვებას და გარკვეული ოდენობის ხელფასს შემპირდა და სანამ კონტრაქტს გავაფორმებ, ასე ვიქნები.

— ჩემპიონატი დღეს იწყება საფრანგეთში და შენ რომელ გუნდში ითამაშებ, დუბლიორებში თუ ძირითადში?

— დღეს „ვილერბანს“ ვხვდებით და მე ძირითადი გუნდის განაცხადში ვარ, მანამდე კი დუბლიორთა გუნდების მატჩია, რომელშიც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. აი, ძირითადი გუნდების შეხვედრაში მომიწევს თუ არა მოედანზე გასვლა, ეს უკვე გორდონ ჰერბერტის გადასაწყვეტია. ყოველ შემთხვევაში, სათადარიგოთა სკამზე ვიჯდები, დანარჩენი კი მწვრთნელზეა დამოკიდებული.

— ჰერბერტი რა განწყობით ჩამოვიდა პარიზში? საქართველოს ნაკრებში განცდილ წარუმატებლობას ვგულისხმობ...

— ჩვენს ნაკრებზე არაფერი უთქვამს, ერთი ის მითხრა, ქართველები დიდებული ხალხი ხართო. ეს სიტყვები მან ორჯერ გაიმეორა. მოხიბლული იყო ქართველების პიროვნული ღირსებებით, სპორტულ მხარეზე კი არაფერი უთქვამს.

— „რასინგში“ რევაზ დიდიაც ირიცხებოდა შარშან. ახლა სადაა?

— დიდია ორიოდ დღის წინ ჩამოვიდა და დუბლიორთა გუნდშია. მას ჰერბერტთან შეხება არა აქვს. სამწუხაროდ, დიდიასთან მე მხოლოდ თავისუფალ დროს ვარ, რადგან მხოლოდ ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობ.

**ირაკლი პერტაია**



## ნავიდან პრეზიდენტის სავარძლამდე

**ბრიტანეთის** ოლიმპიური ასოციაციის ახალ პრეზიდენტად კოლინ მოინიჰენი აირჩიეს. მას დაევალება ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების საქმე.

მოინიჰენმა 28 ხმით 15-ის წინააღმდეგ აჯობა კონკურენტ დევიდ ჰემერის, რომელიც 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე 400 მეტრზე თარჯრბენში ჩემპიონი შეიქნა.

არც თავად კოლინ მოინიჰენს ჰქონია ნაკლები სპორტული კარიერა. 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე, მან ნიჩბოსნობაში იპირველა, 1987 წლიდან სამი წლის განმავლობაში კი ბრიტანეთის სპორტის მინისტრი გახლდათ. ეს ის დროა, ქვეყანას მარგარეტ ტეტჩერი რომ პრემიერმინისტრობდა.

შეიძლება ითქვას, რომ 50 წლის მოინიჰენს საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. იგი ალბათ თავს არ შეირცხვენს და ლონდონის ოლიმპიური თამაშებიც ხუთიანზე ჩაივლის.

**ლადო ფულუკიძე**

## მეხანძრეებმა მთავრობას ცეცხლი შეუნთეს

**ტურინის** მეხანძრეები დემონსტრაციაზე გამოვიდნენ და ოთხდღიანი გაფიცვა გამოაცხადეს, რათა დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნა, რაც ამ ქალაქში გაისად გასამართ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე უსაფრთხოების დონის ამაღლებას უკავშირდება.

მეხანძრეთა პროფკავშირების წარმომადგენელთა თქმით, პრობლემა ისაა, რომ მათ არ ჰყოფნით ტექნიკური საშუალებები, პერსონალი, სათანადო დონეზე უსაფრთხოების დასაცავად სატრანსპორტო საშუალებები. მეხანძრეთა თქმით ეს ყველაფერი ძალზე ცოტა იქნაბა ოლიმპიური თამაშების დღეებში.

„ჩვენ სახანძრო რაზმების მომატებას ვითხოვდით, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ ტურინში ისინი 200 ბრიგადამდე შეამცირეს.

## კოკა-კოლა-ს თასი
## Coca-Cola Cup

თბილისი 5-9 ოქტომბერი
კოკა-კოლას თასი

ქალები
**პირველი წრე**

**მანანა შაფაქიძე** (1) — სოფიკო შარანგია 6:2 6:3; **ნინი ლაგვილავა** — სალომე მკერვალიძე 6:2 6:2; **სოფიკო ძვაცაბაია** (3) — მარი სამადაშვილი 6:1 6:0; **ანა ჯიქია** — ლატავრა ანდრიაშვილი 6:1 3:6 7:6; **ეკა გორგოძე** — ნაილი თაბუნიძე 6:3 6:2; **სოფიკო შაფათავა** (4) — მარიამ ქურდაძე *(ქურდაძის უარი)*; **ნინო მაკაროვა** — თიკა ჩხარტიშვილი 6:0 6:0; **თეონა ცერცვაძე** — ნანა უროტაძე (2) 2:6 6:2 6:4

კაცები
**მეორე წრე**

**გიორგი ჭანტურია** (6) — გივი გორდაძე 6:3 7:5; **ნიკა ქურდაძე** (5) — ზვიად ცერცვაძე 6:4 6:4; **გიორგი ნავროზაშვილი** — გიორგი რევაზიშვილი (4) 6:2 4:6 6:2

# სუფთა ვარ

## პუერტას შეიძლება ცხრათვიანიც სანატრელი გაუხდეს

**საფრანგეთის** ღია პირველობის ფინალისტი მარიანო პუერტა ბოლოხანს წაყენებულ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. ფრანგულ გაზეთ „ეკიპის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, წლევანდელ როლანგაროსზე აღებულმა ჩოგბურთელის ანალიზმა სტიმულატორ ეტილიფრანის მიღება დაადასტურა.

მსოფლიოს მეათე ჩოგანი გუშინ ერთ-ერთი სააგენტოსადმი მიცემულ ინტერვიუში აღშფოთებას ვერ მალავდა:

„აკრძალული პრეპარატი არ მიმიღია და ამას აუცილებლად დავამტკიცებ. საოცარია, ანალიზის დადებითი პასუხი რომელ წყაროზე დაყრდნობით მოიპოვეს. ჩემთვის ჯერ არც პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციას მოუმართავს და არც საერთაშორისო ფედერაციას".

მარიანო პუერტამ ანალოგიური ბრალდების გამო 2003 წელს უკვე მოიხადა დისკვალიფიკაცია. მაშინ იგი ანაბოლიურ სტეროიდ კლენბუტეროლის მიღებისთვის ცხრა თვით მოკვეთეს, ახლა კი, თუ ბრალდება დაუმტკიცდა, ჩოგბურთს სამუდამოდ ჩამოაცილებენ.

ჩვენ კი შევახსენებთ, რომ ბოლო ხუთ წელიწადში დოპინგის ტესტზე ოთხი არგენტინელი მოთამაშე დასაჯეს: გილერმო კანასს, გილერმო კორიასა და ხუან იგნასიო ჩელას დისკვალიფიკაცია აჰკიდეს, ხოლო მარტინ როდრიგესს მონაგრებული სარეიტინგო ქულები და ჩოგბურთით ნაშოვნი ფულები ჩამოაწერეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ჭინკას ბრძოლა ტკივილთან და პენეტასთან

**WTA**
ფილდერშტადტი. გერმანია
მაგარსაფარი
საპრიზო 650 000 $

**II წრე**

**ანასტასია მისკინა** (რუსეთი, 8) — დინარა საფინა (რუსეთი) — 7:6 6:7 7:5
**ფლავია პენეტა** (იტალია) — ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია, 4) — 6:4 6:43
**დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია, 7) — 6:4 6:3
**ნადია პეტროვა** (რუსეთი, 6) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — 6:1 6:1
**ამელი მორეზმო** (საფრანგეთი) — ელენა იანკოვიჩი (სერბია-მონტენეგრო) — 6:0 შეწყდა
**ელენა დემენტიევა** (რუსეთი, 5) — ნატალი დეში (საფრანგეთი) — 5:7 6:3 6:4

**გერმანიის** ფილდერშტადტში მიმდინარე WTA-ს მორიგ ტურნირზე გუშინ II წრის თამაშები გაიმართა და თითქმის ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა.

საკმაოდ სუსტად იასპარეზეს განთესილმა მოთამაშეებმა და მეორე წრეში ტურნირს უკვე ორი მათგანი გამოაკლდა. წააგო შვეიცარიელმა პატი შნიდერმა, რომელმაც ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია სლოვაკ დანიელ ჰანტუხოვას და ტურნირს მეორე წრეში გამოეთიშა.

სენსაცია დაფიქსირდა იტალიელ ფლავია პენეტასა და ტურნირის მეოთხე ნომრისა და ერთ-ერთი ფავორიტის ჟუსტინ ენენ-არდენის შეხვედრაში. ყველასთვის მოულოდნელად, ჭინკა ბელგიელმა თითქმის ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია პენეტას და მატჩი ორ სეტში დათმო.

ეტყობა, ბელგიელმა მაინც ვერ შეძლო იმ ტრავმის მოშუშება, რომელიც წლეულს საფრანგეთის ღია პირველობაზე ასპარეზობისას მიიღო. მართალია, ენენმა პარიზში მოახერხა გამარჯვების მოპოვება, მაგრამ შემდეგ ამ ტრავმის გამო მხოლოდ ოთხ ტურნირში შეძლო მონაწილეობა.

მატჩის შემდეგ ენენმა აღნიშნა, რომ მეტოქემ კარგად ითამაშა, და დასძინა:

„ყოველი მოძრაობის გასაკეთებლად საშინელ ტკივილს ვებრძოდი, მაგრამ ამაზე უკეთესად მაინც უნდა მეთამაშა".

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ორი რუსული დერბი, თუმც სრულიად განსხვავებული სცენარით. მეტად დაძაბული გამოდგა ანასტასია მისკინასა და დინარა საფინას შეხვედრა. სპეციალისტები ამ წყვილში ფავორიტად მისკინას ასახელებდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელს ავანსების გასამართლებლად სამი უმძიმესი სეტის ჩატარება მოუხდა. საბოლოოდ მისკინამ მესამე სეტის მეთორმეტე გეიმში შეძლო მოწინააღმდეგის გატეხვა და მისი მოწოდების აღება, რამაც მეოთხედფინალის საგზური გაუნაღდა.

მისკინამ თამაშის შემდეგ აღნიშნა საფინას კარგი თამაში, ხოლო უშუალოდ მატჩის შესახებ კი განაცხადა, რომ ეს სუპერშეხვედრა იყო.

რაც შეეხება მეორე რუსულ დერბის, აქ თითქმის არანაირი ბრძოლა არ ყოფილა. ტურნირზე მეექვსე ნომრად განთესილმა ნადია პეტროვამ მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო თანამემამულე ელენა ლიხოვცევას და შემდეგ ეტაპზე გავიდა. მისი მეტოქე მეოთხედფინალში ტურნირის მესამე ნომერი, ფრანგი ამელი მორეზმო იქნება, რომელმაც რუსზე იოლად დაძლია მეორე წრის წინააღმდეგობა. ფრანგს ამისთვის მხოლოდ ერთი სეტის ჩატარება მოუხდა, ვინაიდან სერბმა იანკოვიჩმა ვერ შეძლო თამაშის გაგრძელება.



ჟუსტინ ენენ არდენი



ივან ლიუბიჩიჩი

მეოთხედფინალში გასვლა მოახერხა კიდევ ერთმა რუსმა ელენა დემენტიევამ, თუმცა ამ თამაშით, რაც ელენამ ფრანგ დეშისთან აჩვენა, ტურნირზე ბევრის მიღწევის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მიუხედავად ყველაფრისა, დემენტიევამ მოახერხა მეორე წრის გავლა, მისი მეტოქე კი მეოთხედფინალში ბელგიელი კიმ კლაისტერსისა და ხორვატი კაროლინა შპრემის მატჩში გაირკვევოდა, რომელიც გვიან ღამით დასრულდა.

**ATP**
მეცი. საფრანგეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 323 250 €

**II წრე**

**ანდრეას სეპი** (იტალია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) — 7:5 7:6
**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 3) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 4:6 6:1 7:6
**რობინ სოდერლინგი** (შვეცია, 5) — პეტერ ლუჩაკი (ავსტრია) — 7:6 6:3
**მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) — 7:6 6:4
**დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი, 4) — ფლორიან მაიერი (გერმანია) — 7:6 6:1

**საფრანგეთის** ქალაქ მეცში მიმდინარე ATP-ის ტურნირზე გუშინ მეორე წრის თამაშები იმართებოდა. უნდა ითქვას, რომ ყველაფერმა მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა და გამარჯვებებიც იმ ჩოგბურთელებმა მოიპოვეს, რომლებიც რანგით უფრო მაღლა დგანან.

ტურნირზე წარმატებით ასპარეზობას განაგრძობენ წლევანდელი დევისის თასის ფინალისტი ნაკრებების, ხორვატიის და სლოვაკეთის ლიდერები. თუ სლოვაკ დომინიკ ჰრბატის არანაირი პრობლემები არ ჰქონია გერმანელ ფლორიან მაიერთან შეხვედრაში, II წრის გადალახვა ძალიან გაუჭირდა ხორვატ ლიუბიჩიჩის. მისი მეტოქე მასპინძელი ფაბრის სანტორო იყო. ის მეტად უხერხულ მეტოქედ ითვლება მაღალი და სწრაფი თამაშის მოყვარული ჩოგბურთელებისთვის. ალბათ თავიდან ამიტომ ვერ აუღო ალღო ლიუბიჩიჩმა მეტოქის თამაშს და პირველი სეტი წააგო კიდეც, მაგრამ მეორეში იოლად იმარჯვა. მესამე სეტი დაძაბული გამოდგა, არც ერთი არ თმობდა საკუთარ მოწოდებას და საქმეც ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც უფრო ძლიერი ნერვები ხორვატს აღმოაჩნდა და თამაშიც მის სასარგებლოდ დასრულდა.

ლიუბიჩიჩის შემდეგი მეტოქე ვეტერანი ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი იქნება, რომელსაც ორი სეტი დასჭირდა არგენტინელი კალერის დასამარცხებლად, ჰრბატის კი მეოთხედფინალში ტურნირზე მეხუთე ნომრად განთესილი შვედი რობინ სოდერლინგი დაუპირისპირდება.

მეოთხედფინალის საგზური ასევე მოიპოვა იტალიელმა ანდრეას სეპიმ, რომელმაც ბოლო ორ დღეში მეორე რუმინელს მოუგო. ამჯერად მისი მსხვერპლი ანდრეი პაველი აღმოჩნდა. სეპის შემდეგი მეტოქე რუს დავიდენკოსა და ფრანგ ლოდრას შორის მატჩში გაირკვევა.

**კახა ლომაშვილი**

# დებიუტანტების ბედი და უბედობა

## ნჰლ-ის ერთწლიანი ლოკაუტის შემდეგ 88-ე ჩემპიონატი დაიწყო

*ორწლიანი პაუზის შემდეგ ნჰლ-ი ერთბაშად 15 თამაშით განახლდა, რაც პირველად ხდება ლიგის ისტორიაში. შედეგად მაყურებლებს უკლებლივ ყველა, 30 კლუბის ხილვის საშუალება მიეცა. ცხადია, ამავე დღეს ორი სუპერდებიუტანტის, სიდნი კროსბის და ალექსანდრ ოვეჩკინის დებიუტიც შედგა. კრივის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, პირველი რაუნდი პირწმინდად რუსმა მოიგო*




AFP [illegible]

ფლორიდისა და ატლანტის გუნდების შეხვედრის მომენტი

**5 ოქტომბერი**

**ვაშინგტონი 3:2 კოლუმბუსი**

*0:0 3:2 0:0*

0:1 ფრიჩე (27), 0:2 ფრიჩე (31), 1:2 ოვეჩკინი (32), 2:2 ზუბრუსი (37), 3:2 ოვეჩკინი (38)

**„შევხედე** თუ არა მის ილეთს, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ბიჭი ნამდვილად საჩვენოა. იგი სწორედ ისაა, ვისაც ველოდით" — თქვა ნამატჩევს „ვაშინგტონის" მფლობელმა ტედ ლეონსისმა ალექსანდრ ოვეჩკინზე.

მართლაც, 20 წლის რუსის დებიუტი ნჰლ-ში მოსალოდნელზე უფრო შთამბეჭდავი გამოდგა. თავის პირველივე ცვლაში მან პარტნიორები და ფანები ბრწყინვალე ძალისმიერი ილეთით გაამხნევა, რომლის შედეგად მეტოქე რადოსლავ სუხი ლამის ბორტს მიალურსმა. მეორე პერიოდში რუსმა ჯერ საპასუხო გოლი მიითვალა, შემდეგ კი გამარჯვების შაიბაც შეაგდო და პირველი შეიქნა „ვაშინგტონის" ისტორიაში, ვინც სადებიუტო მატჩში დუბლი შეასრულა.

„ვგრძნობ, რომ ჩემი ოცნება რეალობად იქცა. ნჰლ-ში ვთამაშობ, პირველ მატჩში ვიგებ და გოლები გამაქვს. მეტი რა უნდა მოისურვოს ადამიანმა" — თამაშის გმირის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

**ნიუ ჯერსი 5:1 პიტსბურგი**

*2:0 1:0 2:1*

1:0 ბრილინი (17), 2:0 პარიზე (20), 3:0 ჯიონტა (37), 4:0 ჯიონტა (44), 4:1 რეკი (46), 5:1 ბრილინი (54)

**ალექსანდრ** ოვეჩკინის ფონზე სიდნი კროსბის დებიუტი სრულიად შეუმჩნეველი გამოდგა. საქმე მარტო ის როდია, რომ ვუნდერკინდმა მხოლოდ ერთი საგოლე პასი მიითვალა. წლეულს თითქოს და დასუსტებულმა „ეშმაკებმა" ისე ამოკეტეს კროსბი და მარიო ლემიე, რომ მესამე პერიოდამდე არც ერთი ჩანდა და არც მეორე. მხოლოდ ბოლო მესამედში შეიბრალეს მასპინძლებმა 18 წლის ახალგაზრდა და პირველ ნჰლ-ურ მატჩში მთლად ხელცარიელი არ დატოვეს.

„ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილია. ქვედა ლიგები, იუნიორთა ასპარეზობა და თუნდაც საგამოფენო თამაშები ერთია, ხოლო ჩემპიონატი სულ სხვა" — ბრძნულად აღნიშნა კროსბიმ მატჩის შემდეგ.

**ტორონტო 2:3 ოტავა**

*1:0 0:0 1:2 0:0, 0:1 ბულ. სერიაში*

1:0 მაკეიბი (3), 1:1 ალფრედსონი (53), 2:1 ლინდროსი (59), 2:2 ალფრედსონი (59), 2:3 გადამწყვეტი ბულიტი — ჰიტლი



AFP [illegible]

ალექსანდრ ოვეჩკინის (წინა პლანზე) დებიუტი შთამბეჭდავი გამოდგა

**რეგულარული** ჩემპიონატების ისტორიაში პირველი მატჩისშემდგომი ბულიტების სერიაც ვიხილეთ პირველობის სასტარტო დღეს. ახალი წესების თანახმად, დამატებითი დროის ფრედ დასრულების შემთხვევაში ბულიტები ინიშნება. ჰოდა, აქ დომინიკ ჰაშეკს გაბრწყინების შანსი მიეცა. „ოტავას" 40 წლის მეკარემ ლიგაში დაბრუნება უკლებლივ ყველა ბულიტის მოგერიებით აღნიშნა.

**მინესოტა 6:3 კალგარი**

*2:0 1:1 3:2*

1:0 მ. შუინარი (2), 2:0 ბერნსი (20), 3:0 ვანეიგი (27), 3:1 ლენგკოუ (38), 4:1 მ. შუინარი (47), 4:2 იელი (48), 4:3 იგინლა (49), 5:3 უაიტი (57), 6:3 მ. შუინარი (60)

**სეზონის** პირველი ჰეთ თრიქის ავტორი მოულოდნელად მინესოტელი მარკ შუინარი გახდა, რომლის პერსონალური რეკორდი 2003-04 წლების სეზონში გატანილი 11 გოლი გახლავთ.

**ფილადელფია 3:5 რეინჯერსი**

*2:1 1:1 0:3*

0:1 სტრადვიკი (10), 1:1 განიე (12), 2:1 კნუბლი (14), 3:1 რიჩარდსი (28), 3:2 ლუნდმარკი (37), 3:3 იაგრი (47), 3:4 იაგრი (52), 3:5 ჰოსა (52)

**იარომირ** იაგრის გამოღვიძებამ გააფუჭა პეტერ ფორსბერგის ფილადელფიური დებიუტი. ორი სუპერფორვარდის დუელი თავიდან შვედის სასარგებლოდ მიმდინარეობდა. პირველ 15 წუთში მან ორი დიდებული პასით განიეს და კნუბლს გაატანინა, მაგრამ ბოლო პერიოდში იაგრმა ამას ორი გოლით უპასუხა, თანაც ერთი მაშინ გაიტანა, როცა ფორსბერგი საჯარიმოთა სკამზე იჯდა.

**დალასი 5:4 ლოს ანჯელესი**

*0:4 3:0 2:0*

0:1 რენიკი (2), 0:2 ევერი (2), 0:3 რენიკი (5), 0:4 ბრაუნი (20), 1:4 არნოტი (24), 2:4 ზუბოვი (25), 3:4 ზუბოვი (27), 4:4 გერინი (51), 5:4 ბუშე (56)

**ვანკუვერი 3:2 ფინიქსი**

*0:0 2:0 1:2*

1:0 ოლუნდი (23), 2:0 ნესლუნდი (28), 2:1 ბალარდი (52), 3:1 ნესლუნდი (52), 3:2 საპრიკინი (60)

**ედმონტონი 4:3 კოლორადო**

*2:2 1:0 1:1*

1:0 ჰორკოფი (1), 1:1 კლარკი (6), 2:1 რ. სმიტი (7), 2:2 ლააქსონენი (9), 3:2 სტოლი (37), 3:3 ბრისბუა (53), 4:3 ჰორკოფი (57)

**ჩიკაგო 3:5 ანაჰაიმი**

*1:2 2:2 0:1*

1:0 ბელი (9), 1:1 სელიანე (12), 1:2 ლუპული (18), 1:3 ლუპული (23), 2:3 ბრაუნი (29), 2:4 ს. ნიდერმაიერი (30), 3:4 ბურკი (37), 3:5 რ. ნიდერმაიერი (42)

**ნეშვილი 3:2 სან-ხოსე**

*1:1 2:1 0:0*

1:0 უოკერი (9), 1:1 მარლო (20), 1:2 ეკმანი (28), 2:2 კარია (42), 3:2 ჰარტნელი (56).

**დეტროიტი 5:1 სენტ ლუისი**

*2:1 3:0 0:0*

1:0 დაციუკი (2), 2:0 შნეიდერი (8), 2:1 ბრიუერი (12), 3:1 ლებდა (33), 4:1 სამუელსონი (23), 5:1 ლანგი (37)

**ტამპა 5:2 კაროლინა**

*3:1 1:1 1:0*

1:0 პროსპალი (2), 1:1 ვრბატა (8), 2:1 რიჩარდსი (11), 3:1 ბოილი (18), 3:2 სტაალი (21), 4:2 ლეკავალიე (34), 5:2 ტეილორი (57)

**ფლორიდა 2:0 ატლანტა**

*0:0 0:0 2:0*

1:0 ჰორტონი (42), 2:0 კრაიჩეკი (57).

**ბუფალო 6:4 აილენდერსი**

*1:1 2:1 3:2*

1:0 დიუმონი (4), 1:1 კამპოლი (7), 2:1 ბრიარი (26), 2:2 იაშინი (34), 3:2 კემპბელი (36), 4:2 აფინოგენოვი (43), 4:3 ჟიტნიკი (50), 5:3 ბრიარი (51), 5:4 ბლეიკი (54), 6:4 აფინოგენოვი (60)

**ბოსტონი 1:2 მონრეალი**

*1:1 0:1 0:0*

0:1 ბულისი (11), 1:1 ბერჟერონი (18), 1:2 რაიდერი (60)

**სამველ ღარიბიანი**





ჰასიმ რაჰმანს აღარ ეხუმრება

# რაჰმანს ვალები აღონებს, გატის — წონა,

**უკრაინელი** ვიტალი კლიჩკო ჰასიმ რაჰმანთან შესახვედრად ემზადება, თავად ჰასიმს კი საქმე ისე აეწყო, იქნებ ვარჯიშისთვის ვეღარც მოიცალოს.

ამერიკელი კლიჩკოსთან ბრძოლისთვის 4 მილიონ დოლარს მიიღებს, მაგრამ ეს თანხა იმაზე ნაკლებია, ვიდრე ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონსა და ამჟამინდელ პრეტენდენტს სჭირდება.

საქმე ისაა, რომ რაჰმანს ვალები ახრჩობს. 2 მილიონი დოლარი საგადასახადო სამსახურებისთვის აქვს გადასახდელი, ამდენივე დონ კინგის საპრომოუტერო კომპანიას უნდა გაუსტუმროს. 500 ათასი დონ კინგის შვილის, კარლ კინგის კომპანიისა მართებს, 300 ათასი კიდევ მერილენდის შტატის ვალი აქვს.

პრობლემის მოსაგვარებლად მოკრივემ რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო, თხოვნით მიმართა სასამართლოს, რომ იგი გაკოტრებულად გამოაცხადოს. თუ სასამართლომ მართლაც აღიარა რაჰმანის გაკოტრება, მაშინ ამერიკელს უფლება ექნება, ვალები არ გაისტუმროს.

არტურო გატის კი სულ სხვა საფიქრალი გაჩენია. იგი უკვე ორჯერ გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონი სხვადასხვა წონით კატეგორიებში, ახლა კი განუზრახავს, მესამეჯერ მოიპოვოს ტიტული მისთვის ახალ, ქვესაშუალო წონაში.

ამ იდეის განსახორციელებლად მოკრივე 28 იანვარს ტომას დამიგაარდს შეერკინება და დარწმუნებულიც არის, რომ საწადელს მიაღწევს, ამის შემდეგ კი კიდევ სამ-ოთხ წელიწადს გავაგრძელებ მუშტების ქნევასო, გვპირდება.

„დარწმუნებული ვარ, რომ ტიტულს მოვიპოვებ. ნამდვილად გავხდები მსოფლიოს ჩემპიონი მესამედ. ეს ჩემი ოცნებაა და თუ ამოხდა, კიდევ ერთი ტიტულისთვის ვიბრძოლებ, ამჯერად პირველ საშუალო წონაში, ამის შემდეგ კი კარიერას დავასრულებ. ვფიქრობ, სამიოთხი წელიწადი კიდევ მაქვს. ეს დაახლოებით შვიდი-რვა ბრძოლაა.

გადაწყვეტილება წონითი კატეგორიის შეცვლის თაობაზე გატიმ იმით ახსნა, რომ მას უკვე საკმაოდ უჭირს პირველ ქვესაშუალო წონაში ჩხუბი. 33 წლისაა და მისი წონა 77კგ-ს შეადგენს. „სამიოდე კილოგრამი ძალიან დამეხმარება" — აცხადებს არტურო გატი.

**ლადო ჭულუქიძე**

ჭადრაკი

## მსოფლიოს ჩემპიონატი
## 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

# სან-ლუისში ერთი მსახიობის თეატრია




VI ტური

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 1:0 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |

| | |
|---|---|
| 1 ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 6,5 ქულა |
| 2 პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 4,5 |
| 3 ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 3,5 |
| 4 პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 3,5 |
| 5 რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3 |
| 6 ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 3 |
| 7 მაიკლ ადამსი (ინგლისი | 2 |
| 8 იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2 |

**ერთი** მსახიობის თეატრს დაემსგავსა სან-ლუისში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი. ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა მეშვიდე ტურში თავისი მორიგი შეხვედრა მოიგო და უახლოეს მდევარს კვლავ ორი ქულით უსწრებს.

ტოპალოვისა და ფიდეს ჩემპიონ უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვის დაპირისპირება ტურის ყველაზე გრძელი შეხვედრა გამოდგა. მეტოქეებმა 13 სვლა გააკეთეს და თითქმის შვიდი საათი უსხდნენ საჭადრაკო დაფას.

დიდოსტატებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. დებიუტში კასიმჯანოვი გააქტიურდა, ტოპალოვს მრისხანედ შეუტია და უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ნამოცდილმა ბულგარელმა ნელ-ნელა დაამშვიდა თამაში, უზბეკს სტრატეგიულად აჯობა და მეექვსე გამარჯვება მიითვალა.

პირველი პარტია მოიგო რუსმა ალექსანდრ მოროზევიჩმა. მან ყოფილ ფავორიტ ინდოელ ვიშვანათან ანანდს სძლია და პირველადგილოსანს სამი ქულით დააშორა. ეს ინდუსის მეორე მარცხი იყო ჩემპიონატზე, მეოთხე ტურში იგი კასიმჯანოვთანაც დამარცხდა.

ერთადერთი, ვინც ამიერიდან ტოპოლოვს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს, რუსი პეტერ სვიდლერია. ცხრილში იგი მეორე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება ლიდერს. მეშვიდე ტურში რუსმა ჩემპიონატის ერთადერთი მანდილოსანი, უნგრელი იუდიტ პოლგარი დაიბრიყვა.

დებიუტში მოჭადრაკეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს და საკუთარი ფლანგების გაძლიერებას შეუდგნენ.

თავიდან პოლგარმა იძალა, სტრატეგია რუსზე უკეთ განავითარა და 21-ე სვლაზე პაიკით დაწინაურდა. სვიდლერმა დაკარგული ხარისხის დასაბრუნებლად მანევრებს მიმართა, მეტოქეს ლაზიერი გაუცვალა და ექვს სვლაში ბალანსი გაათანაბრა. ამით გულმოცემულმა რუსმა უფრო თამამად შეუტია უნგრელ ქალბატონს, რამდენიმე ფიგურა დაუხოცა და 42-ე სვლაზე პაიკი თვითონ მოიგო. სვიდლერმა რ ხაზზე პაიკის გაყვანა დაიწყო, უმცირესობაში მყოფი პოლგარი ადვილად გატეხა და 59-ე სვლაზე ფარ-ხმალი დააყრევინა.

აღსანიშნავია, რომ მეშვიდე ტურის ოთხივე შეხვედრა თეთრებით მოთამაშე დიდოსტატებმა მოიგეს.

ფიგურული ციგურაობა

# ეკატერინას ბედი

**ერთ** დროს ფიგურული ციგურაობის ლეგენდარულ წყვილს, სერგეი გრინკოვსა და ეკატერინა გორდეევას მთელი რუსეთი ეთაყვანებოდა. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანის დასაწყისში მათ ფიგურულ ციგურაობაში ყველაზე ლამაზ წყვილად მიიჩნევდნენ. 1991 წელს ამ ვარსკვლავურმა „დუეტმა" საკუთარი ურთიერთობები ოფიციალურად გააფორმა, ერთი წლის მერე კი მათ შეეძინათ გოგონა — დაშა.

ორგზის ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები ტკბილად ცხოვრობდნენ მანამ, სანამ 1995 წლის იმ დღეს ამერიკის ლეიკ პლესიდის ოლიმპიურ ცენტრში ვარჯიშისას მოულოდნელად ინფარქტით გარდაიცვლებოდა 28 წლის სერგეი.

ეკატერინა გორდეევა 2001 წლამდე აგრძელებდა ამერიკაში ყინულოვან შოუ „SOL"-ში გამოსვლას, ოღონდ უკვე ქალთა ერთეულთა თანრიგში, ზოგჯერ კი სხვადასხვა პარტნიორებთან ერთად გამოდიოდა. ამ ნომერთაგან ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა ბოლეროს ცეკვა 1998 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ილია კულიკოვთან ერთად. სულ მალე მათ შეეძინათ ქალიშვილი ელიზაბეტა.

ახლა ეკატერინა კვლავ ამერიკაში ცხოვრობს და ფულს ისევ ყინულოვან შოუებში გამოსვლებით შოულობს. იმავდროულად უარს არ ამბობს დამატებით შემოსავალზე, რომელსაც მას კაცთა ჟურნალებისთვის გადაღებები აძლევს.

ამ ფოტოზე აღბეჭდილი ეკატერინა გორდეევა კი „სპორტ ილუსტრეიტედისთვის" პოზიორობს.

# კრისტი სვენსონმა ციგურებისკენ გაიხედა



**ცნობილი** ამერიკელი კინომსახიობი და ფოტომოდელი კრისტი სვენსონი დროებით ტოვებს ჟურნალების გარეკანებისთვის გადაღებებს და აპირებს საკუთარი თავი ფიგურულ ციგურაობას მიუძღვნას. თუმცა სვენსონი ჯერჯერობით სერიოზულად არ ფიქრობს სხვადასხა დონის საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას. ახლა საუბარია მხოლოდ ამერიკული ტელევიზიის სპეციალურ პროგრამაში გადაღებებზე.

მასში სვენსონი ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონთან, კანადელ ლოიდ ეისლერთან ერთად ისაუბრებს ფიგურული ციგურაობის სხვადასხვა ხერხებზე თუ ილეთებზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება დამწყები სპორტსმენებისთვის.

გადაცემათა ციკლი მოიცავს 25 გაკვეთილს, რომელთაგან თითოეული 45 წუთს გაგრძელდება. დღეისთვის დაგეგმილი მასალის ნახევარზე მეტია გადაღებული და ეს პროგრამა სულ მალე იქნება ეთერში.

ავტორბოლა

# ავსტრალიას ბაჰრეინი შეცვლის
## ნიკო კეკეს გზას მიჰყვება

ბოლო ორი, იაპონურ-ჩინური ეტაპიც და 56-ე საპირველფორმულო ჩემპიონატი ათიოდ დღეში ისტორიას ჩაბარდება. გუნდების ინჟინერ-ტექნიკოსები და მძღოლები ორთვიან შვებულებაში გავლენ, მერე კი საგაისო პირველობისწინა ტესტ-პრეზენტაციაც დაიწყება

### 2006

**ახალი** სეზონი ტრადიციულად მარტში კი აიღებს სტარტს, მაგრამ ამჯერად ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშება არ გახსნის. საქმე ისაა, რომ მწვანე კონტინენტი იმხანად დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომთა თანამეგობრობის თამაშებს უმასპინძლებს და ეს ორი დიდი სპორტული ღონისძიება ერთმანეთს რომ არ დაემთხვეს, საფორმულო კალენდარში გადაადგილება მოხდა.

პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ პირველი რბოლა ბაჰრეინში ჩაივლის, ავსტრალიაში კი პილოტები მოგვიანებით გაიჯირითებენ. ეტაპების განრიგი ნოემბერში დადგინდება, გაისადაც 19 დიდი პრიზი გათამაშდება. სავარაუდოდ, ჩემპიონატი ჩვეულზე ერთი თვით გვიან, ნოემბერში დასრულდება. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობამ ყურად იღო საჯინიბოების უკმაყოფილება წლევანდელი უმჭიდროესი, გადამღლელი გრაფიკის გამო, როცა ექვსჯერ ერთკვირიანი შუალედით, თითქმის შეუსვენებლივ მოუწიათ რბოლა.

ერთი სიტყვით, ეტაპთშორისი ინტერვალი გაიზრდება და მონაწილეებსაც სულის მოთქმის საშუალება გაუჩნდებათ.

### A1 სერია

**სეზონებს** შორის ხუთთვიან პაუზას შეავსებს ახალი — A1 საფორმულო ჩემპიონატი. ეს „სამეფო რბოლების" ალტერნატიული, კონკურენტი შეჯიბრი არ გახლავთ. 12-ეტაპიანი პირველობა მიზნად ისახავს არასაპირველფორმულო ტერიტორიაზე ავტორბოლის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა ნიჭიერ მრბოლთა გამოვლენას. ესაა ეროვნული, ანუ ქვეყნების და არა საჯინიბოების ტურნირი. უმთავრესია ის, რომ მონაწილეები იდენტური მანქანებით გამოდიან.

XXI საუკუნის სერია ინგლისში, ბრენდს ჰეჩის ლეგენდარულ ტრასაზე რბოლით გაიხსნა. სადებიუტო ეტაპი ფორმულა 1-ში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ბრაზილიელის, ნელსონ პიკეს შვილმა — ნელსინიომ მოიგო.

აღსანიშნავია, რომ 25 მონაწილეს შორის ორი ექსმეფორმულეა — ჰოლანდიელი იოს ფერსტაპენი და მალაიზიელი ალექს იონგი.

### GP2

**თითქმის** ორი ათეული წლის განმავლობაში ტარდებოდა უმცროსი — ფორმულა 3000-ის ჩემპიონატი. შარშან ამ საკმაოდ პრესტიჟულ გაჯიბრებას აბრევიატურა შეეცვალა და ამიერიდან „გრან პრი 2" ეწოდება.

ესეც მთავარი ფორმულისთვის კადრების მოსამზადებელი „სამჭედლო" და ამდენად გამორჩეული ყურადღებაც ექცევა.

წლევანდელ გათამაშებაში 26 მრბოლი გამოვიდა, მათ შორის იყვნენ მსოფლიოს სამგზის მეფორმულე ჩემპიონის, ავსტრიელ ნიკი ლაუდას ვაჟი — მატიასი, 1982 წლის ტრიუმფატორ ფინელის კეკე როსბერგის შვილი — ნიკო და უკვე ნახსენები ნელსონ პიკე-უმცროსი.

12-რბოლიან სეზონში ყველას 20 წლის როსბერგმა აჯობა. ნიკოს „ART გრანპრი"-მ მართალია, მხოლოდ ერთხელ, დასკვნით, ბაჰრეინულ ეტაპზე მოიპოვა გამარჯვება, თუმც ამ ერთადერთმა წარმატებამ მას საერთო ჩათვლაში ჩემპიონობა მოუტანა.

ნიკო ფინელი კია, მაგრამ ბოლო დროს გერმანიის სახელით გამოდის. მეორე ადგილზე მისი თანამემამულე ჰეიკი კოვალაინენი გავიდა. ნელსინიო პიკე მერვე იყო, მატიას ლაუდა კი მხოლოდ მეცე.

**ბოლოს** იმაზე, რომ 45 წელს გადაცილებული ლეგენდარული პილოტები — ალენ პროსტი, ემერსონ ფიტიპალდი, ნაიჯელ მენსელი, ალან ჯოუნსი, რიკარდო პატრეზე და სხვები — სულ 20-25 მძღოლი, 13 ნოემბერს ვეტერანთა პირველ ჩემპიონატში ჩაებმებიან.

დაწვრილებით კალენდრისა და გუნდების შემადგენლობების დაზუსტების შემდეგ გაცნობებთ.

**გია ახალაძე**



ფეხბურთი

## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი. XII ტური

| | |
|---|---|
| იგლსი 2:2 ეინდჰოვენი | ტელსტარი 1:1 ვეენდამი |
| ალმერე 0:1 ზვოლე | ემენი 2:2 მაასტრიხტი |

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXV ტური

მიუპა 5:0 ტპ-47

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპილოები ნევადის მიწაზე

*ასეა, ლას ვეგასში რომ ჩახვალ, გინდა სუმისტი იყავი და გინდა სხვა ვინმე. ტოიოზაკურას „განძის კუნძულის“ შოუს გოგოები დახვდნენ. იმავ ტოიოზაკურას და ჯუმინჯის კი ქალაქის შესასვლელთან გაუმართავთ სარეკლამო ფოტოსესია. ლას ვეგასში სუმოს ნამდვილი ტურნირი იწყება. 20 წელიწადია, ასეთი რამ არ ყოფილა.*






AFP ლას ვეგასიდან

# ბაქოური გრეხილი

*ბაქოში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. ცხრილებისას არას მოგახსენებთ, ხოლო თუ როგორ დაიგრიხა ესპანელი ესთერ ესკოლარი, თავად გამოარკვიეთ.*



AFP ბაქოდან




AFP ბანგკოკიდან

# ნამდვილი გოლეო

*ფრანც ბეკენბაუერი მსოფლიოში მოგზაურობს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საპრომოუტოდ. ტაილანდში. მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური სიმბოლიკის წარმოების ლიცენზია ერთადერთმა ფირმამ მიიღო და ეს „გოლეოც“ ოფიციალურია. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ტაილანდი მაღალი ხარისხის პირატული საქონლის უძლიერესი მწარმოებელია და „გოლეოსა“ და მის ამხანაგებს ყალბი ძმებიც მიემატებიან.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე
ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge